# საერთო გაზეთი

№38 (815)
ოთხშაბათი
22 ოქტომბერი,
2025 წ.
ფასი 2 ლ.



## გამარჯვებას ბევრი დედა ჰყავს, დამარცხებაა ობოლი




## ...და მებრალევის დაღდასმული თაობა

ჩვენი გაზეთის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ინტერნეტში:
WWW.SAERTOGAZETI.COM

# ეს ძალები ჩართული არიან საქართველოში რევოლუციების მოწყობის მცდელობაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე გერმანიასა და ჩეხეთში საქართველოს ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებს - ალექსანდრე კარტოზიას და რუსლან აბაშიძეს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა დიპლომატებს დიპლომატიური მისიის დაწყება მიულოცა და წარმატებები უსურვა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ ალექსანდრე კარტოზიას საჯარო სტრუქტურებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. სხვადასხვა წლებში ის მუშაობდა განათლების მინისტრად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორად.

ალექსანდრე კარტოზია იკავებდა წამყვან აკადემიურ თანამდებობებს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში; ასევე იყო მკვლევარი და უძღვებოდა სალექციო და სასემინარო კურსებს ბერლინის, ფრანკფურტის, ბრემენის წამყვან უნივერსიტეტებში.

ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსლან აბაშიძე საქართველოს საგარეო უწყებაში 1996 წლიდან მუშაობს. 2009-2013 წლებში ის იყო ესტონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ხოლო 2013 -2015 წლებში – საგანგებო დავალებათა ელჩი.

სხვადასხვა წლებში ის იკავებდა შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობებს.

●

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე თურქეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის მინისტრ ქემალ მემიშოღლუს შეხვდა, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება.

შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოსა და თურქეთის სტრატეგიულ პარტნიორობას და ჯანდაცვის სფეროში აქტიურ თანამშრომლობას. აღინიშნა, რომ ჯანდაცვის სფეროში ორი ქვეყნის მჭიდრო პარტნიორობამ კონკრეტული ხელშესახები შედეგები მოიტანა როგორც მოქალაქეებისთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის, ისე მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის კუთხით.

ხაზი გაესვა თურქეთის კლინიკებთან ნაყოფიერ თანამშრომლობას ბავშვთა ონკოლოგიის სერვისების გაძლიერების მიმართულებით.




პრემიერ-მინისტრმა თურქეთის ჯანმრთელობის მინისტრს საქართველოს ჯანდაცვის სექტორის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ ორი ქვეყნის ჯანდაცვის უწყებებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება პარტნიორობის შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

შეხვედრას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მიხეილ სარჯველაძე და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი დაესწრნენ.

●

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილეს, აზიისა და წყნარი ოკეანეთისთვის ეკონომიკური და სოციალური კომისიის (ESCAP) აღმასრულებელ მდივანს, არმიდა სალსია ალისჯაჰბანას შეხვდა, რომელიც საქართველოში „თბილისის აბრეშუმის გზის“ ფორუმის ფარგლებში იმყოფება.

შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო ESCAP-თან ნაყოფიერ თანამშრომლობას და პარტნიორობის გაღრმავების პერსპექტივებს.

განიხილეს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა და მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საკითხები. ხაზი გაესვა საქართველოს პროგრესს ამ მიმართულებით.

ყურადღება გამახვილდა საქართველოს სტრატეგიულ მდებარეობასა და სატრანზიტო პოტენციალზე. აღინიშნა შუა დერეფნის მნიშვნელობა ახალი სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობების გახსნის თვალსაზრისით და საქართველოს მნიშვნელოვანი როლი ამ პროექტში.

საუბარი ასევე შეეხო საქართველოში მიმდინარე მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც ქვეყნის ლოგისტიკური შესაძლებლობებისა და სატრანზიტო პოტენციალის კიდევ უფრო გაზრდას ემსახურება.

●

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს პოლიტიკა გადაიხედება და ევროკავშირი, საბოლოო ჯამში, შეჯერდება ჯანსაღ პოლიტიკაზე ქართველი ხალხის მიმართ“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტის შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც ევროკომისიის გრანტს ეხებოდა.

პრემიერის შეფასებით, ეს ადამიანები, ეს ძალები პირდაპირ არიან ჩართული საქართველოში რევოლუციების მოწყობის მცდელობაში.

„ეს არის იმის გაგრძელება, რაზეც ამდენი ხანია, ვსაუბრობთ. ჩვენ ვხედავთ, რომ პირდაპირ არიან ეს ადამიანები, ეს ძალები ჩართული საქართველოში რევოლუციების მოწყობის მცდელობაში. ეს არის თავხედური პოლიტიკა, რაც არ წაადგება ევროკავშირის ობიექტური ინტერესების რეალიზებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს პოლიტიკა გადაიხედება და ევროკავშირი, საბოლოო ჯამში, შეჯერდება ჯანსაღ პოლიტიკაზე ქართველი ხალხის მიმართ“, - განაცხადა პრემიერმა.

●

„არც ერთი ჟურნალისტი არ არის დაჭერილი, ეს ორი ადამიანი არის ჩვეულებრივი პარტაქტივი, ეს ადამიანები კანონსაწინააღმდეგო აქციაში მონაწილეობდნენ“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ნებისმიერმა ჟურნალისტმა ნებისმიერ ევროპულ დედაქალაქში, ცენტრალური გამზირი რომ გადაკეტოს, მას იგივე ზომებით დაუპირისპირდებიან.

„არც ერთი ჟურნალისტი არ არის დაჭერილი, ეს ორი ადამიანი არის ჩვეულებრივი პარტაქტივი. ეს ადამიანები კანონსაწინააღმდეგო აქციაში მონაწილეობდნენ როგორც პარტაქტივი, არა როგორც ჟურნალისტები. ქუჩა გადაკეტეს 50 კაცით. როგორ შეიძლება, 50-მა კაცმა გადაკეტოს ქუჩა. ეს არის კანონდარღვევა. ურსულა ფონ დერ ლაიენი სიტყვით გამოდიოდა, ვიღაცამ რაღაც დაუყვირა და ეგრევე დააპატიმრეს და დიდი ოდენობით ჯარიმა გადაახდევინეს. ერთი ქვეყანა დამისახელეთ, სადაც ერთი წლის განმავლობაში ყოველ დღე 50 კაცი კეტავს დედაქალაქის ცენტრალურ გამზირს. დედაქალაქის ცენტრალური გამზირი რომ გადაკეტოს ნებისმიერმა ჟურნალისტმა ნებისმიერ ევროპულ დედაქალაქში, რა თქმა უნდა, იგივე ზომებით დაუპირისპირდებიან“, - განაცხადა პრემიერმა.

# საქართველოში ტრეფიკინგის წინააღმდეგ საკანონმდებლო, ინსტიტუციური და პოლიტიკური მექანიზმების განვითარება წინგადადგმული ნაბიჯია

გამოქვეყნდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) შეფასების რიგით მე-4 რაუნდის ანგარიში

2025 წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებში ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის შეფასების რიგით მე-4 რაუნდის ანგარიში. „ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის შესრულების შეფასების მე-4 რაუნდი დაეთმო ადამიანით ვაჭრობისათვის მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენასა და მათ დაცვას.

ანგარიშის თანახმად, ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ პოზიტიური ნაბიჯები გადადგა ტრეფიკინგის წინააღმდეგ საკანონმდებლო, ინსტიტუციური და პოლიტიკური მექანიზმების შემდგომი განვითარებისთვის. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ტრეფიკინგის წინააღმდეგ სახელმწიფოს თანმიმდევრულმა პოლიტიკამ, რომელსაც ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობით მოქმედი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო. ანგარიშში, ასევე, პოზიტიურად შეფასდა დანაშაულის მსხვერპლთა/დაზარალებულთა კომპენსაციის პროცედურის გამარტივება, დანაშაულის გამოვლენაზე პასუხისმგებელი სახელწმიფო უწყებების უფლებამოსილების ზრდა და სფეროში დასაქმებული პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები.

შეფასების მე-4 რაუნდის ფარგლებში 2024 წლის 23-27 სექტემბერს GRETA-ს დელეგაცია იმყოფებოდა ვიზიტით საქართველოში.

საქართველო მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას, რომელიც, ასევე, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია და ქმნის ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით ქვეყანასა და რეგიონში უსაფრთხო და საიმედო გარემოს.

GRETA-ს შეფასების მე-4 რაუნდის ანგარიშში აღნიშნული პროგრესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ეფექტიანი მუშაობის შედეგია. საბჭოს საქართველოს იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს და მის შემადგენლობაში შედიან ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყების, სახალხო დამცველის აპარატისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

GRETA-ს შეფასების მე-4 რაუნდის ანგარიში იმეორებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თაობაზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიშის სულისკვეთებას, რომლის თანახმად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებებით, საქართველო უკვე მე-10 წელია, უმაღლეს საფეხურზეა და ინარჩუნებს ადგილს „პირველ კალათაში“.

# მოულოდნელი ამბავი

წინა კვირის დასაწყისში მოხდა ისეთი რამ, რამაც მთლიანად გადაფარა ყველა სხვა მოვლენა. მოხდა ისეთი რამ, რამაც გააოგნა მთელი საქართველო და, ცოტა არ იყოს, გაუგებრობაშიც ჩააგდო. თითქოს ველოდით რაღაცას, ათასნაირი ჭორი ვრცელდებოდა - ირაკლი ღარიბაშვილს დაპატიმრებას უპირებენო; გრიგოლ ლილუაშვილს აუცილებლად დაიჭერენო, ეგ 4 ოქტომბრის პროვოკატორებს ეხმარებოდაო, კავშირი ჰქონდაო; ვახტანგ გომელაურსაც ზედ მიაყოლებენო. ჩაიარა არჩევნებმა, „ქართულმა ოცნებამ“ დიდი უპირატესობით მოიგო, „მშვიდობიანი დამხობის“ მოსურნეებმა ცოტა ხანს წაიჩურჩურეს, დროებითი სასუფეველი ციხეში დაიმკვიდრეს, თითქოს საეჭვო და გასარჩევი აღარაფერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უცებ დაიწყო ჩხრეკა ირაკლი ღარიბაშვილის, გრიგოლ ლილუაშვილის, ოთარ ფარცხალაძისა და ამათ გარდა კიდევ 21 ადამიანის ოჯახებისა. თავიდან ჭორის დონეზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამოღებული იყო 400 მილიონი ევრო, სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობა და დოკუმენტაცია. რა ელექტრონულ მოწყობილობებსა და რომელ დოკუმენტაციაზეა საუბარი, არც სუს-ს და არც პროკურატურას არ დაუკონკრეტებია. იმ ჯერზე არც თანხის ოდენობა დასახელდა. უბრალოდ, 400 მილიონი ევროს ხსენებამ ბევრი აღაშფოთა.

18 ოქტომბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ჩატარდა საგანგებო ბრიფინგი, სადაც ითქვა ასეთი რამ: „ამოღებულია ნაღდი ფული 7 002 200 აშშ დოლარისა და 136 000 ლარის ოდენობით, 198 ძვირფასი ნაკეთობა და საათი, ძვირადღირებული ნახატები, 50 მობილური ტელეფონი და 119 ელექტრო მოწყობილობა“.

ვიმეორებ, ეს ყველაფერი ამოღებულია 24 ოჯახიდან. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ უნდანაშაულობის პრეზუმფციას, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს ნამდვილად არ არის „ქართული ოცნებისთვის“ სახარბიელო საქმე, შეიძლება, ახლა ერთმა დაუფიქრებელმა სიტყვამაც კი ბევრი რამ გააფუჭოს, ამიტომ თავს ვიკავებთ ზედმეტი კომენტარებისა და მარჩიელობისგან. თუმცა, ერთს მაინც ვიტყვით: დაუშვებელია, ვუღალატოთ იმ ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება დადო სასწორზე იმისთვის, რომ საქართველო იყოს წელში გამართული და გვქონდეს მშვიდობა მაშინ, როცა ლამის მთელი მსოფლიო ცეცხლის ალშია გახვეული. მშვიდობის გარდა, არსებობს კიდევ ამ კაცის მიერ გაკეთებული უამრავი სიკეთე. ახლა ბევრი ამბობს, რომ ამ ადამიანებისგან ღალატი გამორიცხულია, მით უფრო, ირაკლი ღარიბაშვილისგან. კი, ბატონო, ჩვენც ეგ გვინდა, რომ ორგზის პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რომელმაც უამრავი კარგი საქმე გააკეთა სახელმწიფოსთვის, არ იყოს მსგავს რაღაცაში გარეული. არ გვინდა, ამას ვერც ვიფიქრებთ და ვერც წარმოვიდგენთ. რაც შეეხება ოჯახებიდან ამოღებულ ფულსა და ძვირფასეულობას, ეგეც გასარკვევია, ძირითადად, რომელი ოჯახებიდან ამოიღეს და ვის ეკუთვნის. მოკლედ, ამჯერად ამაზე მეტს ვერაფერს ვიტყვით, დანარჩენს გამოძიება დაადგენს. ახლა ბევრი რამე ითქმება, ბევრიც დაიწერება, ბევრი ჭორიც გავრცელდება, მაგრამ ჩვენ ამას ვერ ავყვებით, ეს ისეთი საჩოთირო თემაა, მტკიცებულებების გარეშე ლაპარაკი არ შეიძლება. ვნახოთ, დაველოდოთ.






# ეშრე, ჩააააააა!

„ქართულმა ოცნებამ“ მესამე მოსმენით მიიღო კანონი, რომელიც პარტიების აკრძალვას ითვალისწინებს. კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილეს და ძალაში ყაველაშვილის ხელმოწერის შემდეგ უკვე შევიდა. კანონის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარმდგენის მოთხოვნის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლება, აკრძალულ პარტიასთან დაკავშირებულ პირს აუკრძალოს პარტიის შექმნა, წევრობა, პარტიული თანამდებობის დაკავება, არჩევნებში მონაწილეობა და ასე შემდეგ. აბა, როგორია? „ნაციონალები“ დარბიან და ამტკიცებენ, იდეებს აქედან ვერ ამოშლითო. ცხოვრებაში ყველაფერი მინახავს, რის ნახვაც შესაძლებელი იყო, მაგრამ ეგეთი დუპლეტური პარტია და მისი გამოთაყვანებული წევრებისნაირები არასდროს მინახავს. ჯერ იყო, საპარლამენტო მანდატებზე თქვეს უარი, მერე საარჩევნო ნომერი დაკარგეს, ადგილობრივ არჩევნებზეც უარი თქვეს, ბოლოს კი იმდენი იწვალეს, საერთოდ უქმდებიან. კი იქნება ცოტა ხანს კრიახი შინ და გარეთ, მისტერ უილსონის კარზე და ფოტიგას სამსახურის მიმდებარედ, მაგრამ ყველაფერი ჩაცხრება, როცა ყველა თავისას დამსახურებულად მიიღებს.

კიდევ ერთი საკანონმდებლო სიახლე: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174-ე პრიმა მუხლში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც, შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილე ადმინისტრაციული პატიმრობით დაისჯება შემდეგი ქმედებისთვის: სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა, ცრემლმდენი, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან მომწამვლელი ნივთიერების ქონის შემთხვევაში, თუ განზრახ შექმნის დაბრკოლებებს ხალხის ან ტრანსპორტის გადაადგილებისთვის, მოაწყობს დროებით კონსტრუქციას, თუ მისი მოწყობა ხელს უშლის პოლიციის მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას. ამ მუხლის დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით; თუ სამართალდამრღვევი ორგანიზატორია – პატიმრობას 20 დღემდე ვადით. 60 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა წესდება, თუ აქციის მონაწილეები იქონიებენ ცეცხლსასროლ იარაღს, ფეთქებად, ადვილაალებად, რადიოაქტიურ ნივთიერებას, ცივი იარაღს ან პიროტექნიკურ ნაწარმს; იქონიებენ ისეთ საგანს ან ნივთიერებას, რომელიც გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნას შეკრების, მანიფესტაციის მონაწილეთა ან სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მიზნით.

ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსშიც: ზემოთ აღწერილი ქმედებების განმეორებით, ერთი წლის განმავლობაში ხელმეორედ დარღვევის შემთხვევაში ქმედება სისხლის სამართლის წესით დაისჯება:

სასჯელის სახედ გათვალისწინებულია ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა; იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის – დაისჯება ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით; არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი – დაისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი, ან ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით; ორგანიზატორის მიერ ჩადენილი, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია – დაისჯება ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. პოლიციის დაუმორჩილებლობა, შეურაცხყოფა სისხლის სამართლის დანაშაული იქნება.

ამ კანონმა უკვე იმუშავა, რუსთაველზე გამოსულმა აკაცუკებმა ნება იბოძეს, პოლიციელების მითითებებს დაემორჩილნენ და გზა ველარ გადაკეტეს, სამიოდე ათეულმა გზააბნეულმა ტროტუარზე გადაინაცვლა. მათ უკვე დაეტყოთ კანონის გამკაცრება და თქვენ წარმოიდგინეთ, ბალეტის მოცეკვავეებს დაემსგავსნენ.





# მარტო დანიის სამეფოში კი არა, ფინეთშიც რაღაც ყარს!

ესლა გვაკლდა, აი! ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ვინმე ელინა ვალტონენი ჩამოგვივიდა სტუმრად და ეგრევე რუსთაველზე დაერჭო. კიდევ კარგი, მტკვარში არ ისკუპა. მივიდა, 50 გამოთაყვანებულს „უთანაგრძნო“, ქართველ ხალხად შერაცხა და დაასკვნა, საქართველოში დემოკრატია საფრთხეშია, ხალხნოოო-ვო!

შემდეგ კი, შემდეგ რა მოხდა? პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მასთან დაგეგმილი შეხვედრა გააუქმა მოტივით: „შენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს“.

„კანონსაწინააღმდეგო მიტინგში მონაწილეობისა და ცრუ განცხადებების გაკეთების გამო, პრემიერ-მინისტრმა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან დაგეგმილი შეხვედრა გააუქმა“, - ნათქვამია საქართველოს მთავრობის განცხადებაში.

რა თქვა ფინელმა ე. წ. პოლიტიკოსმა, რომელიც თურმე ეუთო-ს მორიგე თავმჯდომარეც კი ყოფილა: ისაო, თბილისში, პარლამენტის შენობის წინ მშვიდობიანი დემონსტრანტები შეიკრიბნენ, რათა თავიანთი შეშფოთება გააჟღერონ თავიანთ ქვეყნის რეპრესიულ მიმართულებაზეო. ის არ უთქვამს, ერთი წელიწადი რომ დაბოდიალობენ და ვეღარაფერს აჟღერებენ. ან ადრე რას აჟღერებდნენ? ავი ენები ამბობენ, ფინელი ქალი ევროკავშირიდან გამოაგზავნეს, რათა აკაცუკებს მუხტი აუწიოსო. როდის იყო, დამჯდარ აკუმულატორს მუხტი ეწეოდა? ელინამ ეგრევე გამოაცხო ცრუ განცხადება, ირაკლი კობახიძესთან შეხვედრა მე გავაუქმე, დროში ველარ ჩავეტიე, აზერბაიჯანის პრეზიდენტთან მეჩქარებოდაო. ჩავიდა ილჰამ ალიევთან, რომელიც 22 წელიწადია, პრეზიდენტია (მანამდე მამამისი იყო) და ქებით ძირი გააგდებინა - აი, ნამდვილი დემოკრატია და სიტყვის თავისუფლებაო. გაიგონეთ? თურმე აზერბაიჯანში ძაან დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება ყოფილა. არა, ქალო, არა, უკუღმაა მაი ამბავი, უკუღმა!

ბოლოს მაინც არ გაიტეხა იხტიბარი ფინელმა ე. წ. დიპლომატმა, საქართველოს მოსახლეობა იმსახურებს, რომ ადამიანის უფლებები, გამოხატვის თავისუფლება და თავისუფლებათა პრინციპები იქნას დაცულიო. ახლა ამან ძალიან იცის, ქართველი ხალხი რას იმსახურებს. რაღა დაგიმალოთ და, კობახიძისა არ იყოს, ვერც მე ვიტან არამკითხე მოამბეებს.

გვერდის ავტორია
გელა ზედელაშვილი

# მარცხის გადაფარვის მცდელობა ლომჯარიას მოცარული ხელით

4 ოქტომბრის სამარცხვინო მარცხის შემდეგ ე.წ. ოპოზიციონრებმა გადაწყობა და ახალი შეტევის მომზადება სცადეს. უცხოელმა პატრონებმა სცენაზე ყოფილი ომბუდსმენი ნინო ლომჯარია გამოიყვანეს. სანამ პაატა ბურჭულაძე და მურთაზ ზოდელავა გარეთ დათარეშობდნენ, ლომჯარია სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ახლა კი შეცვლაზე შემოსულმა, არც აცია, არც აცხელა, საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა, ახლა რუსთაველზე ვართ საჭიროო და ეგრევე გამოვარდა 50-მდე აწყვეტილი. ვინაიდან პოლიციას ახალი კანონი ხელ-ფეხს უხსნის, საინტერესო სურათი დაიხატა - ე.წ. ჟურნალისტი, სინამდვილეში „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი, „კეზერვიზიის“ ერთ-ერთი მუშაკი ვახო სანაია გზის გადაკეტვისთვის დააპატიმრეს და მასვე ზედ მიაყოლეს შალვა ნათელაშვილის ფრთებქვეშ შეფარებული ლაშა ჩხარტიშვილი. ამ უკანასკნელს კიდევ დედის ორმოცი ჰქონია და ამ დროს რუსთაველზე დარბოდა სავალი ნაწილის გადასაკეტად. იცით, ვერ გაიგებთ, რა ჯურის დარტყმულებთან გვაქვს საქმე, ერთი ძმის მკვლელებთან გახლავთ ჩახუტებული, მეორე - დედას კი არ გლოვობს, პოლიციელებთან მიდის და „მარიაჟობს“, ვიღაცა ეძახის, გიღებო, ესეც კაცობს, მუშტს მაღლა სწევს და ბღავის: ძირს დიქტატურა! მოსამართლემ ჩხარტიშვილი არ დააპატიმრა, შეიცოდა, დედის ორმოცი გქონია, წაეთრიე და იტირეო. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ამ ორი კამეჩის (კამეჩს რას ვერჩი?) გარდა კიდევ 14 მავანი დააკავეს. აქედან უმეტესობა ეგრევე იწყებს ჯღნავილს - ზოგი იძახის, დედა მინდაო, ზოგი ამტკიცებს, კიბო მჭირსო, ზოგი თვალებს ატრიალებს, მენტალური პრობლემები მაქვსო, ზოგი მოსამართლეს ეხვეწება, უსაბუთო გიჟი ვარ, გამიშვითო. არა, საბოლოო ჯამში ყველა გიჟია, მაგრამ აქ უფრო მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე. ადრე, წლების წინ ეგეთი მრავალფეროვნება არ იყო, ამ სფეროში პროგრესია. სანაიამ - გზა იქამდე გადაიკეტება, სანამ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმი არ დაემხობაო. ამასაც მაგრად აქვს „დასტუკებული“, გზის გადაკეტვით ცდილობს ივანიშვილის დამხობას. 30-მდე არასამთავრობომ და ე.წ. ოპოზიციურმა წარმონაქმნმა „სასტიკად“ გააპროტესტა სანაიას დაკავება. ამათი ტონი ნახეთ, კი არ სთხოვენ ხელისუფლებას, კატეგორიულად ითხოვენ, ეს თავისუფალი სიტყვის ჩახშობააო, დემოკრატიის ფეხქვეშ გათელვააო, თვითონ სანაია რომ ლახავს ადამიანების უფლებებს და გზას უკეტავს, ეს არაფერი, ეს აზრისა და მოქმედების თავისუფლებაა. ისე, ლაშა ჩხარტიშვილმაც მაგრად მობოდა - მეო, დედაჩემის ორმოცზე მივდიოდი და უმიზეზოდ დამიჭირესო. სასამართლოზე მითხრეს, ახლა დროზე წადი, ორმოცზე გაგვიანდებაო, მეო, ბიძინა ივანიშვილისა და კობახიძის ორმოცზე არ დავაგვიანებო. წარმოგიდგენიათ? ეს ხომ არაკაცური წყევლაა, რომელიც მაწყევარს აუცილებლად უბრუნდება? არ იციან ამათ ამდენი, ვერ ტვინავენ და მერე ჯღნავიან, რატომ ვართ შეპყრობილები ავი სულებითო? ფუჰ!



ესე იგი, ახლა რა ხდებააა... დაწერს ლომჯარია „ფეისბუკში“, რუსთაველზე ვართ საჭირონიო, გამოვა ნახირი საღამოს რუსთაველზე, თვითონ ლომჯარია დადგება ტროტუარზე პარლამენტის შენობის მხარეს, ნახირს გადააკეტინებს, პოლიციელები წამოკრეფავენ, წაიყვანენ, ლომჯარია დაბრუნდება სახლში. რა გამოდის, ეს ქალი ხალხს აჭერინებს? ფაქტია.

# გერმანიაში წაყვანილი ცელქი ელჩი და გერმანიიდან წამოყვანილი გიორგი გახარია

მეორე ამბავი, რომელიც, ვიცი, გაგახარებთ, ის გახლავთ, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოში გერმანიის ელჩის, პეტერ ფიშერის კონსულტაციებისთვის გაწვევის გადაწყვეტილება მიიღო. რა კონსულტაციები? ამ კაცმა ყველას თავი მოაბეზრა და წაიყვანეს. ამ დღეებში პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ლიდერებმა სამართლიანად დასვეს კითხვები ამ კაცის „მოღვაწეობის“ თაობაზე და როგორც ჩანს, უკვე ველარ „აპრავებენ“. თუმცა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო მაინც საქართველოს ხელისუფლებას ამუნათებს, რამდენიმე თვეა, ევროკავშირის, გერმანიის და ასევე პირადად ფიშერის წინააღმდეგ აგიტაციას აწარმოებსო. როგორც გერმანული გამოცემა „შპიგელი“ წერს, პეტერ ფიშერის გაწვევა საქართველოს პრორუს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესა და პეტერ ფიშერს შორის ხანგრძლივი ესკალაციის კულმინაციააო. გამოცემა წერს, რომ სექტემბრის შუა რიცხვებში კობახიძემ და პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ფიშერი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულეს და მისი გაძევება საჯაროდ განიხილეს. აბა, უყურეთ, თურმე ფიშერმა საქართველოს მთავრობის ავტორიტარული სტილი საჯაროდ არაერთხელ გააკრიტიკა და დიპლომატს პრობლემები შეექმნა. „შპიგელი“ იმაზე არაფერს წერს, ფიშერი მამუკა ხაზარაძის ცოლის ბინაში რომ ცხოვრობდა, კაი „მაყუთს“ იხდიდა და გადასახადებს მალავდა. არც იმაზე წერს, როგორი მიკერძოებული და არასამართლიანი იყო ეგ ვინმე ფიშერი. არც იმაზე წერს, როგორ გადააჭარბა მან თავის უფლებამოსილებას და როგორ ერეოდა საქართველოს შიგა საქმეებში, სანამ ირაკლი კობახიძემ გებელსი არ უხსენა, მანამდე არ გაჩერდა. ისაო, გებელსის ხსენება არაეთიკურია, ჩვენ არ ვახსენებთო. გაიგონეთ? ჩვენ არ ვახსენებთო. არ ახსენებ და ნუ ახსენებ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს? ჯერ ერთი, ისტორია არაფერს ივიწყებს, არც ჩვენ ვივიწყებთ, რადგან გერმანიამ 350 ათასი ქართველი შეიწირა, ერთი ამდენი კიდევ დაასახიჩრა. აღარაფერს ვამბობ ეკონომიკურ და მორალურ ზარალზე. ახლა იგივე სახელმწიფოს ელჩი მოგვდგომია და ჭკუას გვარიგებს. დიახ, სწორად შენიშნა კობახიძემ - ევროპა-ევროპას ძახილით ტვინი რომ წაგვჭამეთ, გებელსიც ევროპელი არ იყო? მოკლედ, ფიშერები და გებელსები მიდიან, საქართველო კი რჩება სამარადჟამოდ, ვინც ამ ქვეყანაზე ხელი ასწია, თუნდაც ფიზიკურად, თუნდაც აზრობრივად, ვერავინ ხეირი ვერ ნახა და ვერც ნახავს. ეგ არი და გორის ციხე!

გახჩოელები პარლამენტში შედიანო. ვიცოდი, რომ შევიდოდნენ, არც სიები ჩახსნეს, არც მანდატები გააუქმეს, მაინც ეშმაკურად მოიქცნენ, რა იცი, რა ხდება, ეგებ ფულები შემოგვაკლდესო? თავად გიორგი გახარიამ, მას შემდეგ, რაც წულუკიანის კომისიამ მარყუჟი მოუჭირა, გერმანიაში გაქსუვდა და თავისიანების დაბოლება დაიწყო, აქ მე ევროპიულ საქმეებს ვაგვარებ, რათა საქართველომ წინსვლა მაინც განიცადოსო. ახლა დაავალეს გახარიას, შედით პარლამენტში და იქიდან გააჩმახეთ, ვინც რუსთაველზე გასაჩმახებლად მივუშვით, ყველა მიჩმორდაო. ქუჩიდან არაფერი გამოდის, დროა, საკანონმდებლო ორგანოდან შევუტიოთო. რაღა დაგიმალოთ და ახლა სადეპუტატო იმუნიტეტი თუ ვინმეს სჭირდება, ეს გიორგი გახარიაა, ტიპი დაპატიმრების შიშით საქართველოში ვერ ჩამოდის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პარლამენტში 12 ადგილი არც ისე ცოტაა. თუმცა, აქ ერთი უხერხული მომენტი აქვთ გახჩოელებს, ამ შემთხვევაში ის 12-ეული კი არ გადეპუტატდება, ვინც სიაში პირველი ეწერა, არამედ ადგილმონაცვლეები: გელა





აბულაძე, ჯემალ ანანიძე, ქეთევან ბაკარაძე, რუსუდან თევზაძე, მალხაზ თორია, შალვა კერესელიძე, სალომე კობალაძე, გიგა ფარულავა, ვიკა ფილფანი, გიორგი შარაშიძე, თამარ ხვედელიანი, სოფიო ხორგუანი. აი, ვინც ყველაზე მეტი იბრძოლა ანა ბუჩუკურის თამადობით, ყველა გარეთ დარჩება. ეს ამბავი გახჩოელებმა ასე ახსნეს:

„ერთი წლის წინ, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა ერთხმად მიიღო პარლამენტის ბოიკოტის გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკური პროტესტის ამ ფორმამ „ოცნების“ ბოროტების მანქანა ვერ შეაჩერა და ვერ მოახდინა დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ქვეყნისთვის ისეთი დამაზიანებელი გადაწყვეტილებების პრევენცია, როგორიც იყო საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შეჩერება, ანტიდემოკრატიული და ადამიანის უფლებების შემლახველი კანონების მიღება, ავტოკრატიული რეჟიმის დამძიმება, მშვიდობიან მოქალაქეებზე ძალადობა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მოპარვა და სხვა ბევრი დანაშაულებრივი, ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება“.

განცხადების კითხვით თავს აღარ შეგაწყენთ - ესაო, ისაო და რაკი შედეგი ვერ მივიღეთ, რაკი „ოცნება“ ვერ დავამარცხეთ, შემოვდივართ და დაგვხვდითო. მათ განცხადებას პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა მოსწრებულად უპასუხა, საინტერესო იქნება გახარიას პარტიის წევრების პარლამენტში ყოფნა, რადგან პირდაპირ შეგვეძლება მოვისმინოთ უცხოეთიდან მითითებული მესიჯები, პირდაპირ დავინახავთ უცხოეთიდან რა დავალებები მოდის საქართველოს წინააღმდეგო. აი, ამაზე იტყვიან ხოლმე, ზოგი ჭირი მარგებელიაო, მართლაც თვალნათლივ დავინახავთ და უფრო უკეთესად გავიაზრებთ, რა უნდათ, რა დავალებებს იძლევიან გაქსუებულთა პატრონები საქართველოს წინააღმდეგ.

**გელა ზედელაშვილი**

# ჩვენ ცეცხლოვანი რგოლიდან ამოვვარდით და ამიტომ გვსჯიან



*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე:*

**— ბატონო სოსო, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება ისტორიულ დღედ შეფასდა. რის ფასად მოხდა შეთანხმების მიღწევა, რა განწყობებია ისრაელში?**

— უპირველესად, გასათვალისწინებელია, თუ რა პირობებში მოხდა „დიდი ზავის“ დადება — დროებითი ცეცხლის შეწყვეტა, როცა ფუნდამენტური წინააღმდეგობები არსებობდა. მინდა გითხრათ, რომ კონფლიქტი არათუ გადაწყდა, არამედ ძალიან მძიმე ფაზაში შედის. ზოგადად, ამ საკითხის განხილვა კონტექსტის გარეშე მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. კერძოდ, ისრაელის გარშემო, მას შემდეგ, რაც ღაზას სექტორში მან სპეცოპერაცია, ომი დაიწყო, უმწვავესი ვითარება შეიქმნა. გავიხსენოთ გაერო-ში ნეთანიაჰუს გამოსვლა ცარიელ დარბაზში, უპრეცედენტო ანტიისრაელური განწყობები, რაც მსოფლიოში, ევროპაში გაბატონდა და რამაც იზოლაციის პირდაპირი საფრთხე შექმნა. გარდა ამისა, ის ქვეყნები, რომლებიც მეტ-ნაკლებად აშშ-ის გავლენას ექვემდებარებოდნენ, იგულისხმება ახლოაღმოსავლური მონარქიები, მთლიანად რეგიონი, ფაქტობრივად, ანტიისრაელურმა განწყობამ მოიცვა. შედეგად, რეჟიმებს თავიანთი მოსახლეობის კონტროლი გაუჭირდათ. ასევე, ირანთან ომმა დაადასტურა, რომ ისრაელი არ არის ხელშეუხებელი. ანუ, მას ძალიან ბევრი მოწყვლადი ადგილი აქვს, იგივე, „რკინის გუმბათიც“ მაინცდამაინც შეუვალი არ არის.

ზემოხსენებულმა ფაქტორებმა გამოიწვია ის, რომ დონალდ ტრამპმა, რომელიც ამერიკის ისტორიაში ყველაზე მეტად პროისრაელური განწყობის პრეზიდენტია და მისმა ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთეს, რათა შექმნილი ვითარება გამოესწორებინათ. შედეგად, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის ხელშეკრულება გაფორმდა. ცხადია, ამ ხელშეკრულების გაფორმებით არაფერი დასრულებულა. ნამდვილად არ მსურს, რომ საომარი მოქმედებები განახლდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი გონება საწინააღმდეგოს მაფიქრებინებს. სავარაუდოდ, გარკვეული პერიოდის მერე, ვითარების გამწვავების ახალ ფაზას ვიხილავთ.

**— ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?**

— მოგეხსენებათ, ამ კონფლიქტს ძალიან დიდი ისტორია აქვს. ისრაელის სათავეში მყოფი ამჟამინდელი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ მისი ქვეყანა მთელ იმ ტერიტორიაზე უნდა გაფართოვდეს, რომელიც სადავო იყო. ისრაელს დღეს არ აქვს და არც არასდროს ჰქონია გაფორმებული საზღვრები. გაერო-მ ისრაელს არაერთხელ მოუწოდა, საზღვრების დემარკაცია გააკეთოს, მაგრამ მას საზღვრები მაინც არ აქვს. შედეგებიც სწორედ აქედან გამომდინარეა. პალესტინელებისა და ისრაელის პოზიცია რადიკალურად განსხვავდება. მოკლე ხანში მოვლენები ისე განვითარდება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ. ჩემი სიტყვები დავიმახსოვროთ და მერე ვრცლად ვისაუბროთ მომხდარზე.

**— ანუ, თქვენ ამბობთ, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა მდგრადი არ არის და ახალი ახლო აღმოსავლეთის გარიჟრაჟი მითია?**

— დიახ, ფუნდამენტური საკითხები გადაწყვეტილი არ არის. ცეცხლის ჩაქრობა დროებითია, რაც აუცილებელი გახდა გარკვეული მიზეზების გამო და ამერიკის პრეზიდენტმა როგორც პიარაქცია, ამის გაკეთება ეფექტურად შეძლო. მაგრამ ვიმეორებ, იმის გამო, რომ ფუნდამენტური



საკითხები გადაუწყვეტილა, მომავალში ესკალაციას უნდა ველოდოთ.

**— თეთრ სახლში ტრამპისა და ზელენსკის შეხვედრა შედგა და უკრაინის პრეზიდენტმა შორსმოქმედი ფრთოსანი რაკეტების მიწოდება მოითხოვა.**

— დიახ, ზელენსკი ყველანაირი იარაღის მიწოდებას, შესყიდვის უფლების მიცემას ითხოვს. ამერიკა უფასოდ აღარაფერს იძლევა. ტრამპს გარკვევით არაფერი უთქვამს. მან აღნიშნა, რომ რუსეთისა და უკრაინის ლიდერები ერთმანეთს ვერ იტანენ, მაგრამ მისი გამოცდილებიდან, ანუ ახლო აღმოსავლეთში წარმატებით მიღწეული მშვიდობის დამყარებიდან გამომდინარე, ცდილობს, ერთმანეთის მოძულე ორი ლიდერი შეარიგოს. აი, ამ დონეზე დაჰყავს ტრამპს რუსეთ-უკრაინის ომი. ზელენსკისთან შეხვედრამდე ტრამპს სატელეფონო საუბარი ჰქონდა პუტინთან, რა დროსაც ბუდაპეშტში შეხვედრაზე შეთანხმდნენ. ამერიკის პრეზიდენტი ვარაუდობს, რომ ეს შეხვედრა წარმატებით დასრულდება და უკრაინაში მშვიდობა დამყარდება. ამასთან დაკავშირებით მინდა ფრთხილი პესიმიზმი გამოვთქვა: აქაც დიდი წინააღმდეგობებია და ვფიქრობ, ასე მარტივად მშვიდობა ვერ მიიღწევა. ადრეც გავაკეთე ეს პროგნოზი და ახლაც ანალოგიური სიტუაციაა.

ჩვენ ვითარების უფრო მეტად გამწვავებას უნდა ველოდოთ. ჩემი აზრით, რუსეთი სამხედრო სპეცოპერაციას, ფაქტობრივად, დამთავრებულად გამოაცხადებს და სრულმასშტაბიან ომზე გადავა. ამაზე მიუთითებს შემდეგი ინდიკატორები, კერძოდ, ის, რომ რუსეთის განადგურებას პირდაპირ კურირებს აშშ, რაზეც ტრამპი ღიად საუბრობს. მაგალითად ის, რომ რუსეთისთვის სასიცოცხლო ონკანების გადაკეტვა — ნავთობზე ნადირობა ღიად მიდის. ასევე, ინდოეთსა და ჩინეთზე ხდება ზეწოლა, რომ მათ რუსული ნავთობი არ შეისყიდონ. ზუსტად ასე იწყებოდა იაპონიისა და აშშ-ის ომი — იაპონიას ენერგომატარებლების მიღების ყოველგვარი საშუალება გადაუკეტეს. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ იაპონია ამერიკელებს თავს დაესხა. დაახლოებით იგივე სიტუაციაა რუსეთთან მიმართებით — რუსეთის ენერგეტიკულ ობიექტებზე დარტყმები მიმდინარეობს. ასევე რუსეთში, პუტინის პოლიტიკის გამო, უკმაყოფილება იზრდება. აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, რუსეთში მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდეს, რაც დასავლეთის სტრატეგიულ გეგმებშიც შედის. ამიტომ, შესაძლოა, ორი მოსალოდნელი სცენარი ვიხილოთ: ერთი, რუსეთი სრულმასშტაბიან ომზე გადავა, მეორე — რუსეთში სასახლის გადატრიალება დაიწყება, რაც რეალურად არის მოსალოდნელი და იქ ძალიან მძიმე შედეგებს გამოიწვევს. ამას კი, კიდევ უფრო მძიმე შედეგები მთელი მსოფლიოსთვის ექნება.



მოგეხსენებათ, რუსეთში დასავლურ ძალებს, ლიბერალურ ფრთას დასაყრდენი ნამდვილად არ აქვთ. დიდი ალბათობით, იქ ხელისუფლებაში უფრო ნაციონალისტური განწყობის ადამიანები მოვლენ, ვიდრე პუტინი და მისი გუნდია. რუსეთში ეს უდიდესი პრობლემა იქნება, მით უმეტეს, თუ პროცესი უმართავი გახდება. ამას ხელს უწყობს უკრაინისთვის „ტომაჰავკების“ გადაცემის საკითხიც, რასთან დაკავშირებითაც პუტინს გაურკვეველი პოზიცია აქვს. ეს უკვე მერამდენე წითელი ხაზია, ვინ მოთვლის. ანუ, ამ მხრივ ამერიკას ძალიან რთული, მრავალმხრივი, მრავალვექტორული პოლიტიკა აქვს. ეს პოლიტიკა შეიძლება ერთგვარად ბაყაყის ნელ ცეცხლში მოხარშვას შევადაროთ. აბა, ცხელ წყალში რომ ჩააგდო, ამოხტება. ასე რომ, ამ პოლიტიკას უკვე ოთხი წელია, წარმატებულად აწარმოებენ. ანუ, ცდილობენ, რუსეთის აფეთქება შიგნიდან მოახდინონ. პრინციპში, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს ერთმნიშვნელოვნად ჩავარდნილი პოლიტიკაა.

დასავლეთს რუსეთის მიმართ ნათლად გამოხატული პოლიტიკა აქვს. აქვე შემიძლია დავასახელო კორპორაცია „რენდის“ კვლევა. ეს კორპორაცია ანალიტიკური ცენტრია, რომელიც განსაზღვრავს, ვის რეკომენდაციებს იღებს ეს ხელისუფლება აშშ-ში. ის საკუთარ კვლევებს ყოველწლიურად აქვეყნებს. მაგალითად, „რენდი“ იკვლევს როგორ დაასუსტონ რუსეთი იმგვარად, რომ ამერიკაზე და მის მოკავშირეებზე ატომური დარტყმა არ გამოიწვიონ. ეს არის მთელი ფილოსოფია. იქ ჩამოთვლილია, როგორ, რა მიმართულებით უნდა იმუშაონ სამხედრო, იდეოლოგიური თუ სხვა თვალსაზრისით, დეტალურად არის გათვლილი ფინანსები და ა. შ. რუსეთი ცდილობს, ამ ყველაფერს ერთგვარი ასიმეტრიული ნაბიჯით დაუპირისპირდეს. ზოგადად, ეს დაპირისპირება უკრაინის ტერიტორიაზე წარმოებულ ამ პროქსი ომში გადმოიღვარა, რასაც, სამწუხაროდ, ზოგი ჩვენი თანამემამულე კვლავ რუსეთსა და უკრაინას შორის გამართულ ლოკალურ კონფლიქტად მიიჩნევს. ეს მათ იდეოლოგიზირებულ ბუნებაზე მიუთითებს.

**— ბატონო სოსო, 20 ოქტომბერს ლუქსემბურგში შეხვედრა გაიმართა, სადაც შუა აზიის ყველა ქვეყანასთან ერთად, სომხეთის და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრებიც იყვნენ მიწვეულნი, საქართველო კი მხოლოდ ელჩის დონეზე იყო წარმოდგენილი, რაზეც უკმაყოფილება პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმაც გამოთქვა. ისევ ჩვენს რადარებიდან გაქრობას ცდილობენ?**

— აქ რადარებიდან გაქრობაზე არ არის ლაპარაკი. საქართველოში ომი არ ყოფილა და, შესაბამისად, აქტუალურიც არ ვართ. გარდა ამისა, ევროპელებისთვის ჩვენი ქვეყანა ერთგვარი სივრცეა, რომელზეც ისინი კონტროლს კარგავენ. ანუ, ჩვენ, ფაქტობრივად, გლობალისტებს არ დავემორჩილეთ იმაში, რომ რუსეთთან ესკალაციაში ჩავრთულიყავით. შესაბამისად, მათგან შერისხულნი ვართ. გარდა ამისა, საქართველო არ იზიარებს ევროპელების შეშლილ დამოკიდებულებას რიგი ღირებულებების მიმართ, იგივე, გენდერულ შეშლილობას. ერთი მხრივ, ეს საკითხი იდეოლოგიზირებულია. თუმცა პირდაპირ ვამბობ: ეს იდეოლოგია კი არა, შეშლილობა და სატანიზმია. ეს გეოპოლიტიკური ამოცანაა. რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩვენ ცეცხლოვანი რგოლიდან ამოვვარდით და კავკასიაში მათი პოლიტიკური ამოცანის შესრულება ვერ ხერხდება. საქართველოს სწორედ იმ მისწრაფების გამო სჯიან, რომ ცდილობს, თავი გადაირჩინოს. ამიტომ ძალიან გაბრაზებულები არიან, ყველანაირად ცდილობენ, საქართველო დაამცირონ და ამგვარ ღონისძიებებზე არ მიიწვიონ. ზოგადად, ევროკავშირისგან სამართლიანი პოზიციების დაკავებას ელოდო, ეს იგივეა, რომ ღორისგან ან ვირისგან წესიერ საქციელს მოელოდე. ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოს. ჩვენ ხომ ვხედავთ, ვინ არიან იქ, რა კონტინგენტია თავმოყრილი.



**თამარ შველიძე**

# გამარჯვებას ბევრი დედა ჰყავს, დამარცხებაა ობოლი



*გვესაუბრება საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილი:*

**— ბატონო ბონდო, რა ეტაპი დაიწყო ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში 4 ოქტომბრის შემდეგ?**

— უპირველესად, უნდა ვთქვათ, რომ ამ დღემ ქართული პოლიტიკის არასრულფასოვნება და პოლიტიკური კლასის შეუმდგარობა გვიჩვენა. სამწუხაროდ, ოპოზიციაში თითქმის არ აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები და პარტიები, რომელთაც ქართული სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობა გააზრებული აქვთ. არჩევნებისთვის გამოცხადებული ე. წ. ბოიკოტით ქვეყანა 90-იანი წლების დასაწყისში დააბრუნეს. მოგეხსენებათ, 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევნებში არ მონაწილეობდა, რადგან არცერთ არჩევნებს არ აღიარებდა. ლეგიტიმური მხოლოდ გამსახურდიას ხელისუფლება იყო. მათი პროტესტი აბსოლუტურად სამართლიანი იყო. თუმცა ყველა მომდევნო არჩევნებში ამ პროტესტმა გამოიწვია ის, რომ ხალხი, რომელიც მხარს ზვიად გამსახურდიას უჭერდა, ელექტორალურად, ფაქტობრივად, გაქრა და, შესაბამისად, გაქრა ზემოხსენებული პოლიტიკური ძალაც. ეს პარალელი შეიძლება დღევანდელობასთან საუკეთესო არ არის, უბრალოდ, ამით იმის თქმა მინდა, რომ ბოიკოტმა, არჩევნების მიმართ ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ, აღნიშნული პოლიტიკური ძალის გაქრობა გამოიწვია. ეს პოლიტიკოსები წლების განმავლობაში მილევად რეჟიმში გადავიდნენ, შედეგად, აღარც მათი ორგანიზაცია არსებობდა და აღარც ამომრჩეველი.

სამწუხაროდ, ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოში პოლიტიკური კულტურა ვერ ჩამოყალიბდა. თუმცა არსებული ვითარება ცხადჰყოფს, რომ პოლიტიკური კლასის ჩამოყალიბება თავიდან უნდა დაიწყოს. ერთი მხრივ, როგორც „ნაცმოძრაობასთან“ მისი დაარსების დღიდან მკვეთრად დაპირისპირებულ ადამიანს, ძალიან მიხარია, რომ მისი არცერთი წევრი ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე წარმოდგენილი არ იქნება. „ნაცმოძრაობა“ მისი განაყოფებით და პროპაგანდის საშუალებებითურთ, ნებისმიერ ინიციატივას ანადგურებდა, რაც მის დღის წესრიგს არ ერგებოდა. ასე რომ, ბოლო 13 წელია, მმართველ ძალას სერიოზულ რყევებთან გამკლავება უწევს, რაც საერთაშორისო ზეწოლით გამოიხატება. ასეთ პირობებში კი, დემოკრატიული პროცესის წარმართვა და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება, რთულია.

2020 წლის არჩევნებს გაგახსენებთ, რა დროსაც საერთაშორისო ჩარევა გახდა საჭირო, რათა ბარიერგადალახული ოპოზიციური პარტიები პარლამენტში შესულიყვნენ. ანუ, ქვეყნის პოლიტიკური კლასი პასუხისმგებლობის კუთხით მოიკოჭლებს. მეტიც, გაგახსენებთ ერთ-ერთ სასტუმროში გამართულ მაშინდელი მოქმედი და ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარეების შეხვედრას, რომელიც აშშ-ისა და ევროკავშირის შუამავლობით შედგა. წარმოიდგინეთ, რა მძიმე მდგომარეობაშია ქვეყნის პოლიტიკური კლასი, რომ პარლამენტის თავმჯდომარეები ამერიკის და ევროკავშირის ელჩების გარეშე ერთმანეთთან შეხვედრას და საუბარს ვერ ახერხებენ. ისიც გავიხსენოთ, როცა პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმება გაფორმდა, შეხვედრების შუამავალი, ასევე, ამერიკის ელჩი იყო. შეთანხმებას ხელი ამერიკის ელჩის მოადგილის სახლში მოეწერა. ეს ხომ ქვეყნის პოლიტიკური კლასისთვის და მოქალაქეებისთვისაც ძალიან დამამცირებელია. ფაქტობრივად, საქართველოს დირექტორი, გუბერნატორი ამერიკის ელჩი გახლდათ.

ბოლო სამი წელია, ამ კუთხით, ბევრი რამ შეიცვალა — მმართველმა პარტიამ დასავლეთიდან მსგავს ზეწოლას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. ახლაც, ხელისუფლებას ქვეყნის ინტერესების, სუვერენიტეტის დაცვა არამხოლოდ გარე ზეწოლისგან — საერთაშორისო აქტორებისგან უწევს, არამედ ქვეყნის შიგნით მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და მედიასაშუალებებისგან. ეს კატასტროფაა.

ვფიქრობ, 300-დღიანმა ფსევდოპროტესტმა, შარშან პარლამენტზე განხორციელებულმა შტურმმა, სახელმწიფოზე თავდასხმამ, ოპოზიციას იმედი მისცა, რომ გარე აქტორების ჩარევის, საქართველოს იზოლაციაში მოქცევის მცდელობის შედეგად, ხელისუფლება ქვეყნის მართვაზე უარს იტყოდა და ძალაუფლებას დათმობდა. მე თუ მკითხავთ, კარგია, რომ „ნაცმოძრაობის“ არცერთი წარმომადგენელი პარლამენტში არ შევიდა. როცა 2020 წელს, მიშელის შეთანხმებით საკანონმდებლო ორგანოში შებრძანდნენ, ღირებული რა გააკეთეს, გარდა ჩხუბისა, ყაყანისა თუ ტრიბუნებთან მივარდნისა?! საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა მიიღეს? — არა, რითაც პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების შესაძლებლობა უკან დაწიეს.

ამჯერად, თვითმმართველობის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ ძალაუფლება სერიოზულად განიმტკიცა. რადიკალები და გარე პატრონები ისევ ახმაურდნენ: ხელისუფლება არალეგიტიმურიაო. ერთი რამ კარგად გავიგოთ: ქვეყნის საკანონმდებლო და ადგილობრივ ხელისუფლებას ლეგიტიმაციას ბერლინის, პარიზის, ბრიუსელის, ვაშინგტონის, მოსკოვის, თეირანის თუ პეკინის აღიარება არ ანიჭებს. რომელიმე ქვეყანამ მმართველ პარტიას არჩევნებში გამარჯვება მიულოცა თუ არა, ლეგიტიმაცია ხელისუფლებას ამით არ ეძლევა. ამის არცოდნა მათი პოლიტიკური უწიგნურობის, უვიცობის, უკულტურობის, უზრდელობის მაჩვენებელია. ხელისუფლებას ლეგიტიმაციას არჩევნებში მონაწილეობით ხალხი ანიჭებს და არა უცხოეთიდან გამოგზავნილი მოსალოცი ბარათები. დიახ, ხელისუფლებაში ის მოდის, ვისაც ქართველი ხალხი მხარს უჭერს. სწორედ ამიტომ, მათ ერთადერთი გზა — ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა რჩებოდათ. საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის მხარდაჭერით არის არჩეული. ამიტომ, უცხოეთიდან რა ზეწოლაც უნდა განხორციელდეს, ეს არაფერს შეცვლის. ერთადერთი, რაც შეუძლიათ, რომელიმე სახელმწიფო თავს დაგვესხას. ისინი ძლიერი სახელმწიფოები არიან და ჩვენი მორევა მარტივად შეუძლიათ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ხელისუფლება ხალხს არ აგვირჩევია.

სინამდვილეში, რევოლუციის მოწყობის არავითარი საფუძველი არ არსებობდა და არ არსებობს. ეს ადამიანები ვიღაცამ შეაგულიანა. როცა ხალხს პრეზიდენტის სასახლის შტურმისკენ მოუწოდეს, პირდაპირ გასაღების გადაბარებას დაჰპირდნენ. დღეს კი, გაიძახიან: არ ვიცოდით, რა იგეგმებოდაო. ამ დროს ტელევიზიებით პირდაპირ ქვეყნის დამხობაზე საუბრობდნენ. როცა პასუხისმგებლობის საკითხი დადგა, ყველამ პროცესებისგან გამიჯვნა გადაწყვიტა, რადგან ამით ხეირი ვერ ნახეს. ზოგადად, გამარჯვებას ბევრი



დედა ჰყავს, დამარცხებაა ობოლი. სხვათა შორის, ევროპასა თუ ამერიკაში ვერავინ ამბობს, რომ ათონელზე დემოკრატიული პროცესი მიდიოდა.

ქართველი ხალხი აგრესიას მხარს არასდროს დაუჭერს. ნაცების მიმართ მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულება არსებობს. შედეგად, არასდროს ეყოლებათ იმდენი მხარდამჭერი, რომ ხელისუფლება ისევ ხელში ჩაიგდონ. ამიტომ ხელისუფლებაზე ზეწოლას აგრესიით, ევრობიუროკრატიის დახმარებით ცდილობენ. არც ხალხი უჭერს მხარს და არც გადატრიალების გზით მოსვლის რესურსი გააჩნიათ.

ამიტომ პარლამენტის გადაწყვეტილება, კოლექტიური ნაცების აკრძალვის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანოს, აბსოლუტურად დროულია. დიახ, ნორმალურ პოლიტიკურ ძალებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, პოლიტიკურ პროცესში პოზიტიური როლი შეასრულონ. ამისთვის საჭიროა, ეს პოლიტიკური ნაგავი გაიხვეტოს. სანამ პოლიტიკური ველი არ გასუფთავდება, რყევებს თავიდან ვერ ავიცილებთ. ნორმალური პოლიტიკური პროცესის შესაქმნელად წინ სამი წელი გვაქვს.

სამწუხაროდ, დღეს ვხედავთ, რომ ახალგაზრდებიც, რომლებიც ცდილობენ, ამ პოლიტიკური ბანდიტების შექმნილ ფუნდამენტზე თავიანთი პოლიტიკური კარიერა ააშენონ, უფსკრულში იჩეხებიან. ეს ახალგაზრდები ვერ იაზრებენ, რომ ამ ბანდიტებთან ერთად სასიკეთოს ვერაფერს შექმნიან. ჩვენ ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი გვჭირდება. ქვეყნის მოსახლეობა გაცილებით გონიერია, ვიდრე პოლიტიკური კლასი და მედიაკლასტერი. რასაც მათი მხრიდან ვუყურებთ, ეს ქვეყნის სიყვარულით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ დიდი ფულის სიყვარულით. აქ ქვეყნის ინტერესები იკარგება. არადა, სამშობლოზეა ლაპარაკი.



ჩვენ არსად წასვლას არ ვაპირებთ, აქ ცხოვრება გვინდა. საქართველო ჩვენი სამშობლოა. ჩვენ არ გვჭირდება პატრონი ბრიუსელიდან, ჩვენი სამშობლოს პატრონები თავად უნდა ვიყოთ. ნაცებსა და მის დანაყოფებს სამშობლოს განცდა არ აქვთ. ასეთი ადამიანები ქართულ პოლიტიკაში საერთოდ არ უნდა იყვნენ, რომელთაც მავნებლობის გარდა, სხვა არაფრის კეთება შეუძლიათ. ამიტომ ვამბობ, რომ პოლიტიკური ველი უნდა გაიწმინდოს და ახალმა ოპოზიციურმა ძალებმა, მმართველ პარტიასთან ერთად, ქვეყანა 2028 წლამდე მშვიდობიანად მიიყვანონ. დაე, მერე ხალხმა მიიღოს გადაწყვეტილება, ვინ აირჩიონ. საქართველოში გადატრიალებები აღარ მოხდება

**— ბატონო ბონდო, ბოლო დროს ხელისუფლებამ კანონები გაამკაცრა...**

— კანონების გამკაცრება აუცილებელი იყო, რადგან ადმინისტრაციულმა ჯარიმებმა შედეგი ბოლომდე ვერ გამოიღო. ბევ-

რი ადამიანი, ვინც დაჯარიმდა, არანაირ ქონებას არ ფლობს. ეს ადამიანები ცალკეულმა რადიკალურმა ჯგუფებმა გამოიყენეს და ახლა ჯარიმებს ვერ იხდიან. ხელისუფლებამ გზის გადაკეტვასთან დაკავშირებით კანონის გამკაცრებით სწორი ნაბიჯი გადადგა. შედეგად, რიგმა რადიკალურმა ჯგუფებმა მიიღეს გადაწყვეტილება, ამ პროცესში აღარ ჩაერთონ და მოსახლეობაში საკუთარი აზრის ჩასანერგად სხვა მექანიზმები გამოიგონონ. კანონდამრღვევები ნელ-ნელა გონს მოეგებიან. კანონის სუსხს მალე იგრძნობენ.

ხელისუფლებას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მსოფლიოში არ მოიძებნება დედაქალაქი, სადაც ერთი წლის განმავლობაში ქვეყნის მთავარი პროსპექტი გადაკეტილი იქნება. რუსთაველის გამზირზე ხალხი ცხოვრობს და მათ ნორმალური ცხოვრების პირობები მოუსპეს, სახლში ვერ მიდიან. თან რას ითხოვენ მომიტინგეები? — მოძალადე კანონდამრღვევების გამოშვებას. იმ ადამიანის გამოშვების გამო, პოლიციელს რომ წვავდა, ქუჩის გადაკეტვა როგორ შეიძლება?! ხელისუფლების გონიერება სწორედ გონივრულ მოქმედებაშია, თორემ მაგათ იქიდან გაყრას არაფერი უნდა. ძალადობრივი მოქმედება სასურველ შედეგს არ მოიტანს. რუსთველის პროსპექტი გაიწმინდება, ეს დრო შორს არ არის.

**— ბოლოს, მინდა პროკურატურის მიერ ჩატარებულ ბრიფინგზე გკითხოთ. როგორც გავიგეთ, ყოფილი მაღალჩინოსნების ბინებში ჩხრეკები ჩატარდა. რა მოლოდინი გაქვთ?**

— მნიშვნელოვანი ის არის, რომ განცხადება გენერალურმა პროკურორმა გააკეთა და არა ვინმე სხვამ. ეს ნიშნავს, რომ საქმე ძალიან სერიოზულად არის. წარმოუდგენელია, არგუმენტების, მყარი მტკიცებულებების არარსებობის გარეშე, გენპროკურორს ასეთი განცხადება გაეკეთებინა. დავაკვირდეთ, როცა შსს-ს ან სუსის წარმომადგენელი განცხადებას აკეთებს, ინიციალებს ასახელებს, ამჯერად კი გვარ-სახელები დასახელდა. როცა უკვე ბრალდებაა წარდგენილი, პირის ვინაობის დასახელების უფლება მხოლოდ პროკურორს აქვს. მან მაღალი თანამდებობის პირები დაასახელა.

უახლოეს დღეებში ბევრი რამ ცნობილი გახდება. ის, რომ კონკრეტულ საქმეზე ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ კონკრეტულ ბრალდებაზე, დანაშაულზე თავად გენპროკურორი საუბრობს, სერიოზული შეშფოთების საფუძველია. მეორე მხრივ, ის, რომ ხელისუფლება, სამართალდამცავი სისტემა, ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების დანაშაულებრივ ქმედებებზე რეაგირებს, ამერიკული, ევროპული სტანდარტია. თუ დამნაშავეა, იმის გამო, რომ შენი ხელისუფლების წევრი იყო, მას ინდულგენცია არ უნდა ჰქონდეს. დემოკრატიის ერთ-ერთი თვისებაა, რომ ყოფილი თანაგუნდელის მიერ ჩადენილ დანაშაულს ხელს არ აფარებ. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**თამარ შველიძე**

# ღობე

## პოლიტიკური ნოველა

იდგა ღობე თავისთვის, რაც დაიბადა, ხმა არ ამოუღია, იშვიათად თუ გადაულაპარაკებდა ალაყაფსა და საყრდენ ბოძს. განა არაფერი აინტერესებდა? ბარემაც ყველაფერი აინტერესებდა, მაგრამ იცოდა, არავინ არაფერს ეტყოდა, მხრებს აიჩეჩავდნენ და დაბნეულები გაშორდებოდნენ. ალაყაფისა შურდა, ყველა მას აღებდა და ხურავდა, უმეტესად, ცნობილი ადამიანები ეხებოდნენ და ისიც საამურად ჭრიალებდა. ერთხანობას ქალი შედიოდა და გამოდიოდა ყოველდღე, დილა-საღამოს, ხან დღეში ცხრაჯერ. რამდენიმეჯერ გასასვლელში ღობის კიდეს ფეხი წამოჰკრა, გეგონება, მთვრალიაო, ალაყაფს კი არა, ღობეს მიაფურთხა. სულ უჟმურ ხასიათზე იყო, ღობე არყის სუნსაც გრძნობდა, მაგრამ ხომ ვერაფერს იტყოდა? თუ ქალს მოეპრიანებოდა, რკინის ღობეს ჯართში ჩააბარებინებდა და ქვიტკირისას ააშენებინებდა. რა, არ დაუჯერებდნენ? ჰმ... არ დაუჯერებდნენ და კაი ჩიტსაც დაიჭერდნენ, არყის „რუმკას“ ხან კედელზე შეახეთქებდა, ხან ღობეზე. როცა ქალი სასახლეში პირველად გამოჩნდა, ალაყაფმა გადაუღრჭიალა, ეგ პრეზიდენტიაო. შეკრთა ღობე, მანამდე აქ პრეზიდენტი არასდროს უნახავს. საყრდენმა ბოძმა უთხრა, წესით, მაგის წინა პრეზიდენტიც აქ უნდა მოსულიყო, მაგრამ დანაპირები არ შეასრულა და ისევ იქ დარჩა, დიდ სასახლეშიო. ისე, ეგეც მაგარი ლოთი ყოფილა, თურმე მთელი სასახლე არყით იყო აქოთებულიო. ეხლა რო კაცია, ეგ როგორია, ეგეცა ჰყლურწამს არაყსაო? - ჩაეკითხა ღობე. არა, ეს წესიერია, თანაც სპორტსმენი ყოფილა, ბურთს აგორავებდა ფეხით, ალკოჰოლს ვერ იტანსო, - მიუგო საყრდენმა ბოძმა. კიდევ კარგიო, - ჩაილაპარაკა ღობემ. მერე, მაგაში რა არის კარგიო? - დაინტერესდა ბოძი. როგორ თუ რა არიო? გამცვითა მაგ ქალის ხახუნმა, ვერ ხედავ, ხელახლა შესაღები რომ ვარო? - მიუგო ცალყბად ღობემ.

ირგვლივ ხმა გავარდა, მოდიანო. საყრდენმა ბოძებმა ჟღრიამული ატეხეს, აქციის მონაწილეები მოდიან, ჯერ ჩვენ უნდა აგვიღონ, მერე სასახლეო.

- ერიჰაააა,ჩვენ რა უნდა ვქნათ? - ჩაილაპარაკა შეშფოთებულმა ღობემ.

- რა უნდა ვქნათ და მაგრად დავდგეთ! - გაიღრჭიალა ალაყაფმა.

- არა, მე არ შემიძლია მაგრად დგომა, გამიგონია, ეგენი წიხლებს ირტყმევინებიან და თან ქვებიც დააქვთო, როგორც კი მოვლენ, გადავწვები და გავატარებ, სასახლეში სპეცრაზმელები შევიდნენ, მაგათ მიხედონ! - გააპროტესტა ღობემ.

- ეგ ღალატი იქნება! - გაიღრჭიალა ისევ კარმა.

- მე თუ დავწექი, შენც ველარ გაუმაგრდები გავეშებულ ბრბოს, ღალატს არ ვაპირებ, მე ჯერ დავწვები, მერე ავდგები და ამბოხებულებს ეზოში მოვამწყვდევ, ჩემი ტაქტიკა მაქვს, გესმის?

- ჰოოო... მაშინ მეც გავიღები და მერე დავიკეტები, - გაიცინა კარმა.

- ეგრეც უნდა მოვიქცეთ, ესენი არც ერთი არ უნდა გავუშვათ გარეთ, ყველას დააპატიმრებენ და მერე ველარავინ შეგვაწუხებს, - თქვა გადაჭრით ღობემ.

- სულ მქონდა ეჭვი, რომ შენ გენიოსი იყავი, მაგრამ ახლა ბოძებს უნდა ვთხოვოთ, რომ ეგენიც დაწვნენ.

- მაგაზე არ იდარდო, ვიცი მაგათი შესაძლებლობები, ვგრძნობ, უკვე როგორ ყანყალებენ.

- ეგ მეც შემიმჩნევია, როცა მაგრად მიმაჯახუნებენ ხოლმე, - ჩაიქნია ურდული ალაყაფმა.

შებინდებისას მოვიდნენ. წინ დროშაშემოხვეული კაცი მოუძღვოდათ. ყვიროდნენ, გაუგებარ ბგერებს გამოსცემდნენ. გასაღები გადმოგვეცითო. თუ არ გადმოგვცემთ, ინანებთო, დაგლეწავთ და გაგანადგურებთო. მეორე კაცი ნამეტნავად აბრიალებდა თვალებსა - ჩვენ აქ კაცური ძალებით მოვედით, მშვიდობიანად უნდა დაგამხოთო.

- მშვიდობიანი დამხობა როგორია? - ჰკითხა ალაყაფმა ღობეს.

შეკავებას ცდილობდნენ, მაგრამ როცა ვერაფერი გააწყეს, ჯიბეებიდან წიწაკის სპრეიანი ბალონები ამოიღეს და პირველ რიგში მყოფებს შეასხურეს. დროშაშემოხვეულმა კაცმა უკან გადაიწია და სადღაც მოძუძგა. ღობემ მოგვიანებით გაიგო, რომ თურმე ოპერის მომღერალი ყოფილა და ახლა კიდევ რევოლუციონრობა დაუწყია. ავმა ენებმა ისიც უთხრეს, მაგას ფულები შამააკლდა და ამიტომაც არის ეგრე გაცოფებულიო. ის მეორე კიდევ, თვალებს რომ ქაჩავდა, ეგა, ყოფილი გენპროკურორიაო. ღობემ შეიცხადა, არც ერთი არ მეცნობა, ეტყობა აქეთ არასდროს ჩაუვლიათო.

ღობემ ველარ გაუძლო მიწოლას და გადაყირავდა. მოჯაჯგურეები ადგილზე გაშეშდნენ, სასახლისკენ წასვლა და შენობის აღება ველარ გაბედეს. ისინი გაოგნდნენ, ღობე ასე იოლად არ უნდა აყირავებულიყო. კი, ბატონო, საყრდენი ბოძები ყანყალებდნენ, მაგრამ ღობეს თავი მაინც უნდა შეეკავებინა. ეს პროვოკაციააო, ხა ღობემ ალაყაფს და ცოტა სვლა შეანელა.

- პარლამენტის შენობასთან მივრეკოთ და შევეშვათ, ამ მუდრეგებს საერთოდ ჩავქოლავდი, მაგრამ არაქათი გამომეცალა! - დაიღრჭიალა ალაყაფმა.

ღობემ კიდევ ერთ ჩამორჩენილს ამოარტყა პანჩური და წინ ხბოსავით გაიგდო. თან შეეცოდა, ამას რა რევოლუცია უნდა მოეხდინა? ეტყობა, ვიღაცამ გააბრიყვაო, გაიფიქრა და მეორედ პანჩური აღარ ამოარტყა. ერთი შეჩერდა, ჩაიმუხლა და ღობეს შეჰღაღადა, - რათ მოგვდევ, ღობევ, შენ რაღა დაგიშავეთო? ჩვენ მხარეს რად არ გადმოხველო? - ამ დროს ალაყაფმა ბოქლომი მოიქნია და თავში იმას მოხვდა, რომელიც ღობის გადაბირებას ცდილობდა.

ღობე და ალაყაფი ადგილზე დაბრუნდნენ. ორგვლივ აღარავინ იყო, რევოლუციონრები იქიდან გაძურწულიყვნენ. მოგვიანებით ისინი ტელევიზორში ყვებოდნენ, როგორ გამოეკიდნენ მათ ღობე და



- არ ვიცი, ღმერთმანი, წიგნებში სულ სხვანაირი დამხობებია აღწერილი, მშვიდობიანი არ გამიგია, - გადაუჩურჩულა ღობემ.

მშვიდობიანადაც დაგამხობთ და ალერსიანადაცო, განაცხადა დროშაშემოხვეულმა კაცმა და ღობეს დაეჯაჯგურა. ღობემ ჯერ უკან დაიხია, შექანდა და შემდეგ გადმოქანდა. დროშაშემოხვეული კაცი სახტად დარჩა, ღობისგან წინააღმდეგობას არ ელოდა. მას თვალებდაჭყეტილი კაცი ამოუდგა გვერდით, წიხლი გაიქნია და დაიღრიალა, ამათთან ალერსიანი დამხობა არ გამოდისო. ღობე შეტორტმანდა, ალაყაფს გახედა, რამდენიმე ველურს ხელები ჩაევლო და აქეთ-იქით აქანავებდა. ალაყაფი საცოდავად ჭრიალებდა, თავის ენაზე იძახდა, თავი დამანებეთო, მაგრამ მისი არავის ესმოდა. დროშაშემოხვეულსა და თვალებდაჭყეტილს უკნიდან ბრბო მოაწყდა. მეორე მხრიდან ღობეს სპეცრაზმელები მოადგნენ, ჯერ ღობის დასჭექა ერთმა, ტუჩები ყურებამდე რომ გადასჩაჩვოდა და უკან გადახტა. დიახ, პროვოკაციააო, ამათ უნდათ, სასახლეში შეგვიტყუონ და დაგვატუსაღონო, - შეჰღრინა მეორემ, აირწინაღი რომ ეკეთა თავ-პირზე.

- რა ვქნათ, წამოვდგეთ? - გასძახა ღობემ ალაყაფს, რომელსაც ისევ წამდაუწუმ აჭრიალებდნენ.

- წამოვდგეთ და გამოვეკიდოთ, ამ დედააფეთქებულებს! - გამოსძახა ალაყაფმა და ერთ მომხდურს პანჩური ამოარტყა.

ღობე წამოდგა, მხრებში გასწორდა, კისერი მიატრიალ-მოატრიალა და ბრბოს შეუტია. რევოლუციონრები დაიბნენ, ღობისგან ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ. არიქა, ბიჭებო, მოგვდევენო, გადასძახეს ერთმანეთს და აღმართზე მოჰკურცხლეს. მისდევს ღობე გაქცეულებს და თან ფიქრობს, როდემდე უნდა სდიოს?

- ალაყაფო, ხომ არ შევეშვათ და უკან დავბრუნდეთ? - გადასძაალაყაფი. ზოგი ყვებოდა, რომ ბუშტები და ყვავილები მიჰქონდა პრეზიდენტის სასახლესთან და ღობე გამოეკიდა. ზოგი ამტკიცებდა, რომ პროვოკაციების აღსაკვეთად მივიდა და ღობემ მაინც წამოაგო პროვოკაციაზე, ის, წესით, დაბმული უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც ჩანს, ვიღაცამ აუშვა. თვითონ ღობე ამტკიცებს, რომ დაბმული იყო, მაგრამ ისე გამწარდა, თავხედებს იქით გამოეკიდა და კიდევ თუ მიადგებიან, კვლავაც გამოეკიდება. ალაყაფმა ღობეს კვერი დაუკრა, სწორედაც რომ ეგრე იქნება, მეტის მოთმენა უკვე შეუძლებელიაო.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, ვისაც ღობე გამოეკიდა, ამ ეტაპზე თითქმის ყველა დაპატიმრებულია და თქვენ წარმოიდგინეთ, ღობე არ ნანობს.

**ნოველა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა**
**გელა ზედელაშვილმა**

# ᲬᲐᲮᲜᲐᲒᲝᲕ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ. ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲡᲒ“ N36)

### ᲛᲝᲙᲚᲔ ᲢᲔᲥᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲡ

რუსეთის ერთ-ერთმა ვეტერანმა დიპლომატმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, სერგეი რიაბკოვმა, რომელსაც დიპლომატიურ საქმიანობაში ბევრი ვერ შეედრება, უცბად „აფრები აუშვა“ და რევერანსების გარეშე განაცხადა — ალიასკაზე პუტინისა და ტრამპის შეხვედრის შედეგად, უკრაინის კონფლიქტის მოგვარების იმპულსი დიდწილად ამოწურულია ევროპელების მოქმედებების გამოო. მისი ეს განცხადება მყისიერად უარჰყო კრემლმა. ჯერ პუტინის თანაშემწემ საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში, იური უშაკოვმა უწოდა ამ ამბავს მტკნარი სიცრუე, მოგვიანებით კი პუტინის პრესმდივანმა პესკოვმაც იგივე გაიმეორა.

რა უნდა იფიქროს მაყურებელმა, რუსეთის ხელისუფლებაში მარჯვენა და მარცხენა სხვადასხვა მხარეს გარბიან? — რიაბკოვმა ხომ ამ ნათქვამით, ფაქტობრივად, პუტინისა და ტრამპის უცნაურად კეთილისმყოფელ ურთიერთობას „დაარტყა“?!

ყველანაირი წესითა და ლოგიკით, ასეთი რეაქციის შემდეგ, რიაბკოვი თანამდებობზე აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისევ თავის კაბინეტშია...

რიაბკოვი რადგან ისევ კაბინეტშია, ჟირინოვსკის სული ამოიწვერა. როდესაც საჭირო მომენტში კრემლის სათქმელს ჟირინოვსკი ახმიანებდა, მის ექსცენტრიკულობას ეწერებოდა ნათქვამი, არადა, კრემლი ლაპარაკობდა... რიაბკოვმა დაუკითხავად დაახეეთქა ის, რაც არ უნდა ეთქვა და, არც მასმედიაში დაიბლოკა, არც პუტინს ჰქონდა რეაქცია? პირიქით, რუსულმა მედიამ და პროპაგანდისტმა სოლოვიოვმა ისეთი ხოტბა შეასხეს რიაბკოვს, ლავროვი ლამის დაჩრდილეს...

რიაბკოვის ეს „გამოხდომა“ ღია გზავნილი ხომ არ იყო ტრამპისთვის — ძვირფასო დონალდ, დრო იწურება და რას შვრები შენივე ნათქვამ სიტყვებზეო?

რას ვშვრები და, ლეგენდას ვთხზავ, მერე კი ბნედას დავცემ ევროპასო.

### ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ „ᲢᲝᲛᲐᲰᲐᲕᲙᲘ“ ᲥᲐᲝᲡᲨᲘ

სანამ ტრამპისა და პუტინის სატელეფონო საუბარი შედეგებოდა და ზელენსკის პიჯაკს შეუქებდა ტრამპი, მოქმედ პირებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, გასულ კვირას რისი წერა წამოვიწყე და ორშაბათს რედაქციაში რა ვთქვი კოლეგებთან. ლოგიკამ მათქმევინა, თორემ წინსწარმეტყველი ხომ არ ვარ...

ყური მოვკარი რუსი გენერლის სიტყვებს — არასასიამოვნო ფაქტია აშშ-ის განცხადება, რომ „ტომაჰავკებს“ გადასცემს უკრაინას, მაგრამ არსებობს ბევრი „მაგრამ“. პირველი — ეს არ მოხდება დღეს და ხვალ; მეორე — თუ ჩამოაღწია უკრაინამდე იმ „ტომაჰავკებმა“, უკრაინელებს მათ არ ანდობენ, გამშვებ დანადგარებზე აუცილებლად ნატო-ს სპეციალისტები იმუშავებენ — „თუ ჩამოაღწიაო“; მესამე — ამას დრო უნდა, ხოლო ამ დროში რა მოხდება უკრაინის ფრონტზე და დანარჩენ მსოფლიოში, ვინ იცისო. უმთავრესი — „ტომაჰავკების“ საწინააღმდეგო საშუალებებზე ჯერ კიდევ 1983 წლიდან მუშაობდნენ საბჭოთა მეცნიერები, საბჭოთა სამხედრო სამრეწველო კომპლექსი და იმდენი რამე შეიქმნა, რაც ჯერ არ გამოყენებულა იმის გამო, რომ საჭიროება არ ყოფილა და იმდენი სუპერინოვაციური ფაერსაწინააღმდეგო სისტემა დაემატა, რომ ძალიანაც ნუ ექნებათ იმ „ტომაჰავკების იმედიო“; ახლოში, პრაქტიკულად, ვერ ისვრიან და მოსკოვი იქნება თუ სხვა დიდი უბრბანული ქალაქების დაბომბვა, ამაზე რომ არც კი უნდა იოცნებონ, იციან, მაგრამ თუ ინტერესის გამო სცადეს, აბა, რა მოხდება მერეო, ერთი „ტომაჰავკიც“ რომ გავარდეს, გასაოცარ და Ужасающий შედეგს მიიღებენ ელვისებურადო.

„ტომაჰავკის“ უკრაინისთვის მიწოდება რომ მოსკოვის დაბომბვას ნიშნავს და ამას რუსეთის ბირთვული პასუხი მოჰყვება, სავარაუდო არ არის. არადა, უკრაინის ხელისუფლება ღიად არის გადასული ბირთვული თავშესაფრების მშენებლობაზე და რაც იყო, იმის გაუმჯობესებაზე.

კრემლის აზრების ერთ-ერთი გამოხმოვანებელი მედვედევიც არის და მე რომ პუტინის ადგილზე ვიყო, ევროპის ნებისმიერ პორტში „ტომაჰავკის“ გამოჩენისთანავე, იქვე დავადუღებდი, ხოლო დასავლეთ უკრაინაში რომელიმე სამიზნეს ტაქტიკურით „მოვიკითხავდიო“, ანუ მეორე დარტყმა ბირთვული იქნება.

ვაჭარი ტრამპი, შესაძლოა, სამხედრო საკითხებში ვერ ერკვეოდეს, მაგრამ სამხედრო მიმართულებით მრჩევლებიც არ სჭირდება იმას, რომ გააცნობიეროს ის საფრთხე, რაც უკრაინისთვის „ტომაჰავკების“ გადაცემას მოჰყვება. რა ქნას?

იმ რუსი გენერლისა არ არ იყოს, ამას დრო უნდა და მანამდე, შესაძლოა, ან ვირი მოკვდეს, ან ვირის პატრონი. გარდა ამისა, შესაძლოა, სხვა ვარიანტიც განმეხილა — მაგალითად, მივყიდიდი იმ „ტომაჰავკებს“ და გადაადგილების კორდინატებს პუტინს ვაცნობებდი. რატომ? იმიტომ, რომ ომი არ მინდა, მირჩევნია, მსოფლიო რუსეთთან ომის გარეშე გავიყო, მითუმეტეს, ვიცი, რომ „ორეშნიკები“ სტარტზეა და მის გარდა კიდევ რამდენი რამ აქვს ახალი, არ ვიცი. არ მომეწონებოდა თუნდაც „სატანასა“ და „კინჟალის“ შემდეგ კიდევ რაღაც უცნობი და გამოსაცდელი სამხედრო ტექნიკის მოქმედებაში ნახვა...

ჰოდა, კი თქვა ტრამპმა, რაკეტების მეტი რა გვაქვს, მაგრამ ჩვენი საჭიროებისთვის გვაქვსო...

ამჯერადაც ისე ვერ მოიწონა ზელენსკის ჩაცმულობა, რომ სტუმრები საქონლის კერძებით დაეპურებინა, შემწვარი ქათამიც გეყოფათო და პენტაგონის შეფს რუსეთი დროშის ფერებში გაწყობილი ჰალსტუხი შეაბა — ფერების მიმდევრობაც კი რუსეთის დროშაზე იყო გასწორებული. ძალიან მოუცლელია ტრმპი, ამიტომ პროტოკოლის უფროსმა მიაცილა „ზელე“ მანქანამდე. და სულაც, უკრაინელ მურიას თეთრი სახლის ეზოში ბრიფინგი არ ჩაატარებინეს, გადაღმა, ქუჩაში შეხვდა მედიას და აღიარა, „ტომაჰავკების“ მოწოდება ჩაიხსნა, რადგან ტრამპს არ სურს ესკალაცია.

### „ᲙᲔᲗᲘᲚᲘ“ ᲑᲝᲛᲑᲘ

ვისხედით მსოფლიო წახნაგოვანი ქაოსის მაყურებლად და უცბად, ღია სარკმელში „კეთილი“ ბომბი შემოგვიგდეს — 2025 წლის 14 ოქტომბერს სტრასბუგს სასამართლომ საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ე. წ. განგრძობადი ოკუპაცია“ კომპენსაციის შესახებ გადაწყვეტილება გამოაცხადა — რუსეთის ფედერაციას საქართველოს 29 000-ზე მეტი დაზარალებული მოქალაქის სასარგებლოდ 253 018 000 ევროს გადახდის ვალდებულება დააკისრა.

მანამდე იყო საქმე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“, ე. წ. დეპორტირებულთა საქმე და 10 მლნ-მდე ევროს გადახდის დაკისრება; იყო კიდევ ერთი — 130 მლნ-მდე ევროს გადახდის ვალდებულების დაკისრება. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია აღარ არის ევროპის საჭოს წევრი, მას რჩება გადაწყვეტილების აღსრულების სამართლებრივი ვალდებულება და ყველა გადაცილებულ დღეზე შესაბამისი ჯარიმა ეკისრებაო. რუსეთს განსაზღვრუ-

### ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲡ ᲕᲔᲠᲪ ᲥᲝᲪᲝᲑᲐᲡ ᲓᲐᲡᲬᲐᲛᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲛᲝᲡᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲐᲡ. ᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ — ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ!

„ჩემი აზრი პირველ სხდომაზე მოგახსენეთ, ახლა განვმარტავ. ისტორიულად საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია მუდამ ევროპისკენ იყო.

IX საუკუნიდან, რაც რომ ბაგრატიონები გამეფდენ ჩვენში, საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან. პირველი ბაგრატიონები ბიზანტიის კარის კაცის ხარისხებს ატარებდენ.

როცა მონგოლებმა დაიპყრეს საქართველო ევროპაში ყველაზე ძლიერნი რომის პაპები იყვნენ, საქართველო მათ მიმართ კავშირისა და დახმარებისკენ იღწვოდა. როცა ოსმალებმა კონსტანტინოპოლი დაიპყრეს და პირდაპირ გზა დასავლეთისკენ მიეპყრო საქართველოს, იგი შეეცადა ჩრდილოეთის მხრით გაება ძაფი დასავლეთ ევროპისაკენ; ამ დროს იქ ესპანეთის მეფე იყო ძლიერი და საქართველო ფერდინანდ კათოლიკს სთხოვდა დახმარებას;

როცა ლუდოვიკ XIV დროს საფრანგეთმა დაიჭირა პირველი ადგილი, საქართველომ მასთან დესპანი გაგზავნა და დახმარება სთხოვა მაჰმადიანების წინააღმდეგ. მაგრამ ევროპა შორს იყო. გზა შეკრული გვქონდა ოსმალების მიერ და კავშირის გაბმა შეუძლებელი შეიქმნა.

ამ დროს რუსეთის სახელმწიფომ დაიწყო ზრდა; პეტრე დიდიდან დაწყებული რუსეთმაც ევროპისკენ აქცია პირი. შევიწროებულ საქართველოს ან რუსეთის ან ოსმალეთის ან სპარსეთი უნდა აერჩია.

ერეკლე მეფემ ეს საკითხი რუსეთის პროტექტორატის მიღებით გადასჭრა; ესეც ევროპის ორიენტაცია იყო, მაგრამ არა პირდაპირ. სხვა გამოსავალი არ იყო და დროსა და ობიექტურ პირობების მიხედვით გადასჭრა ეს საკითხი საქართველომ.

რუსეთმა მართლა მოგვიტანა სარგებლობა, დაგვიფარა ოსმალეთისა, სპარსეთისა და ლეკებისაგან, გააერთიანა საქართველოს სამეფოები და სამთავროები, მოსპო ფეოდალიზმი და ბატონყმობა, შემოგვიერთა ნაწილი სამაჰმადიანო საქართველოში და ასე თუ ისე შემოიტანა ჩვენს ქვეყანაში ნაწილები ევროპის განათლების, მაგრამ ამასთანავე იგი დაადგა ერის დენაციონალიზაციის გზას, მოინდომა ჩვენი გარუსება, სკოლის, ჯარის, სასამართლოს მოსპობა და ბოლოს კოლონიზაცია.

ამის წინააღმდეგ მთელი შეგნებული ნაწილი ჩვენი ერის, ჯერ თავადაზნაურობა და სამღვდელოება, მერე ინტელიგენცია და მისი საშუალებით მთელი ერი, მოწინავე წრეებში დაიწყო სეპარატიული მიმართულება, რომელიც ამყარებდა იმედებს დასავლეთ ევროპაზე და მის დახმარებაზე, ნამეტნავად ინგლისზე, რადგან ინგლისის ინტერესებს შეადგენდა კავკასიის რუსეთს მოცილება.

რუსეთი პოლიტიკურ წესწყობილებაზე იყო აგებული. სხვადასხვა ერებს აქ ტლანქი ძალა და რასაკვირველია, როდესაც ეს ძალა მსოფლიო ომმა მოშალა, რუსეთი თავისუფლად დაინგრა, მასში ანარქია გამეფდა ბოლშევიკების სახით.

საქართველომ ადვილად გამოაცხადა დამოუკიდებლობა, მაგრამ ყველასათვის აშკარა იყო, რომ რომელიმე ევროპის ძლიერ და გამაგრებულ სახელმწიფოს უნდა დავყრდნობოდით და ასეც მოხდა: სანამ გერმანია იყო გამარჯვებული, მას ვენდობოდით, როცა ანტანტამ გაიმარჯვა და ჩვენში თავის ჯარი შემოიყვანა, ანტანტის სახელმწიფოთა შორის ვეძებდით მფარველს.

მოსალოდნელი იყო, რომ ინგლისი დაინტერესდებოდა ჩვენით და ერთხელ შემოსული ამიერკავკასიაში, აღარ გავიდოდა., ჩვენ მფარველობას გაგვიწევდა, პროტექტორი გაგვიხდებოდა.

იქნებ ჩვენ ჩვენის გამოუცდელობით, ჩვენის უუნარობით ვერ შევძელით მათთან დაახლოვება, ასეთ ბრალს, სხვათა შორის ბევრი აწერს ჩვენს მთავრობას, მაგრამ მე არა ერთხელ მსმენია ჩვენი პოლიტიკის მეთაურიდან რომ მათ არა ერთხელ შეეცადენ ინგლისთან დაახლოებას, მათ მფარველობის მოპოებას, მაგრამ ვერას გახდენ, პასუხი ვერ მიიღეს.

ბოლოს თქვენ იცით, დე ჯურე ცნობის შემდეგ ინგლისმა ხელი გაუხსნა ბოლშევიკებს და ჩვენ შემოგვასია. ინგლისის მეტოქეობით ცოტა ოდენი დახმარება საფრანგეთმა აღმოგვიჩინა, განძეულობა



# ანი ქათსი

მაინც გადმოგვიზიდა საფრანგეთში და მათი დახმარებით ვიმყოფებით დღეს აქ. მაგრამ როცა საქმე ჯეროვან დახმარებაზე მიდგა, არამც თუ ჯარი, ფულით და იარაღით დახმარებაზე უარი გვითხრა, ინგლისმა ლაპარაკი არ მოისურვა ჩვენთან, მან მის მიერ ხელმოწერილი ცნობაც უარჰყო, ჩვენს ელჩს - მინისტრს და მთავრობის თავმჯდომარეს პოლიტიკურ ვიზიტზედაც უარი უთხრა.

გერმანიის ამბავი თქვენც მოგეხსენებათ, პირველად დიდის ამბით მათ გვიცნეს, ახლა კი ბოლშევიკური საქართველო იცნო და ჩვენი საელჩო დახურა ბერლინში. ეს ჩაიდინა სოციალისტურმა მთავრობამ ბერლინში, რომელზედაც ზოგიერთები იმედებს ამყარებდენ.

თვით ჩვენმა თავმჯდომარემ მოგახსენათ თქვენ, - გაგვყიდა არა გერმანიის ბურჟუაზიამ, არამედ სოციალისტებმაო. იტალიაც ხომ ბოლშევიკებს დაუახლოვდა და პირდაპირ აღიარა - ჩვენ დახმარება არ შეგვიძლიაო.

ამას დაერთო თათრების გამარჯვება. ისინი ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გამაგრებულან სტამბულში, ჯერ კიდევ ანტანტა არის იქ და კერძო მოლაპარაკების დროს გვაცნობს, რომ ჩვენი ოფიციალური დაწესებულებანი იქ უნდა მოშალოთ, რომ ჩვენთვის ჯერ ისინი რუსებს ვერ მოიმდურებენ. ზოგიერთები თათრებზე ამყარებენ იმედებს. ბატონი ჯუღელი მათკენ იხრება, მაგრამ ჩვენ მისგან მოვისმინეთ გულახდილი სიტყვები თუ რა ევოლიუცია განიცადა მან, რომ ის ბოლშევიკი იყო და ნოე ჟორდანიამ იხსნა იგი ამ განსაცდელისაგან შეცდომისაგან. მე არ გამიკვირდება, შემცდარი ორიენტაცია ჰქონდეს.

ისტორიამ მაგალითი არ იცის, რომ ოსმალეთის რაიმე სიკეთე მოეყენებინოს სხვა ერისადმი, რაიმე ვალდებული უნარი გამოეჩინოს ან თავისთვის ან სხვისთვის. ოსმალებმა მიიყვანეს საქართველო სიკვდილამდის, ნახევარი ქვეყანა, უმჯობესი და უკულტურესი წაგვართვეს, მაგალითად გაამაჰმადიანეს და გააველურეს, ყოველი ეროვნული შემეცნება აღმოუფხრეს, ჩვენს დროს ხომ ვერაგულად არტაანი და ბათომის ოლქი მოგვტაცეს, თუ ახლა კიდევ ფეხი შემოდგეს, უსათუოდ ბათომს, ახალციხის და ახალქალაქის მაზრას წაიღებენ, აზერბაიჯანი, მთა და ბორჩალოს მაზრა მას შეუერთეს, ნახევრად მაჰმადიანი აფხაზეთი სულ გაამაჰმადიანეს.

როგორ გინდათ ამ პირობებში საქართველომ თავი შეინახოს?

მე არც რუსი მინდა და არც ოსმალეთი. ერთიც და მეორეც ჩვენი დამღუპველია.

მე ვარ და ვიქნები ყოველთვის ევროპის ორიენტაციის.

ჯერ სულ იმედი არ არის დაკარგული. შეიძლება ლოზანის კონფერენციამ ისეთი სიტუაცია შეჰქმნას, რომ ინგლისმა ან საფრანგეთმა გვიშველოს, მაგრამ თუ ევროპამ ზურგი შეგვაქცია და დაგვიდგა საკითხი არჩევისა რუსეთსა და ოსმალეთს შორის, ამ დროისთვის ჩვენ გამზადებული უნდა ვიყოთ, ნიადაგი ყველგან მოსინჯული უნდა გვქონდეს. ოსმალეთთან გვაქვს მოლაპარაკება, არ უნდა უარვყოთ ბოლშევიკებთანაც ლაპარაკი.

ჩვენ გვეუბნებიან - ეს დაშნაკების პოლიტიკა იქნებაო, მაგრამ თქვენც ხომ ისეთივე რევოლიუციონერები იყავით რუსეთში, როგორც დაშნაკელები ოსმალეთში?

აქ გვეუბნებიან - არაფერი გამოვაო. მეც მგონია, რომ არაფერი გამოვა, მაგრამ ცდა ხომ ბედის მონახევრეა, ესეც მორალი იქნება ჩვენთვის, რომ არაფერი გამოვიდა, მერე ვერავინ გვისაყვედურებს, რომ ჩვენ ნიადაგი არ მოვსინჯეთ;

სულ სხვა საკითხია, როდის და რა საშვალებით ველაპარაკოთ, ეს ტაქტიკის საქმეა და არა პრინციპის. რასაკვირველია, აქ მთავრობის სახელით პირველათ ლაპარაკი არ იქმნება. შუა კაცები თავისთავად გამართავენ ლაპარაკს და თუ ნიადაგი მომზადდება და ისინი ჯარის გაყვანაზე დათანხმდებიან, - ეს ხომ აუცილებელი პირობა უნდა იყოს, - მხოლოდ შემდეგ გამოჩნდება მთავრობა.

ამიტომ მე პრინციპიალურად მხარს ვუჭერ მთავრობის თავმჯდომარის წინადადებას და თანახმა ვარ ნიადაგის მოსინჯვისა ბოლშევიკებთან შესაფერი ტაქტიკის დაცვით.

ექვთიმე თაყაიშვილი
1922 წელი

ლი თანხის დასაფარად ვადა გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში აქვს.

ჩვენ რას ვაკეთებთ? — გარეგნულად, მადლობას ვუხდით სტრასბურგის სასამართლოს, რეალურად კი, გულში ვაგინებთ...

უკეთეს დროს ვერ ნახავდნენ საქართველოსთან რუსეთის გასამტყუნებლად!

რუსეთი რას ამბობს? — პესკოვმა თქვა, რომ რუსეთი არ გადაიხდის ამ ფულს. რატომ არ გადაიხდის, განმარტა და თქვენით მოიძიეთ ინფორმაცია. ხალხი ხუმრობს, რაც რუსეთი ელენე ხოშტარიას მილიონებს ურიცხავს, ფაქტობრივად, ძველი სახდელი გადახდილი აქვთ და ახალს გზადაგზა გადაუხდიანო.

ისადა, უკრაინა თავზე რომ გვსაქმებს, მაშინ ვამბობთ, რომ საპასუხოდ არაფერს ვიტყვით, არც ცუდად მოვიქცევით, რადგან ომში მყოფი ქვეყნაა; ახლაც ხომ იგივეს თქმა მოგვიწევს — რუსეთიც ომში მყოფი ქვეყანაა. თანაც, უკრაინას მთელი ცივილიზებული დასავლეთი ეხმარება რუსეთის წინააღმდეგ, რუსეთი კი მარტო ებრძვის მთელ ნატო-ს...

რას ვიზამთ, საუკუნეებია, რაც ხან მგელი გვიპირებს შეჭმას და ხან მგლისფერი ძაღლი, გვაძიძგნიან გვერდებს, მაგრამ კი ვართ ჯერ კიდევ შეუჭმელი...

მჯერა, რომ ვერც შეგვჭამენ, რადგან ჩვენი ხალხური სიბრძნეებია „ტკბილი ენით მთას ირემი მოიწველაო“ და „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო“...

ესეც ჩვენია — „ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერი“...

## ჯერ თავო და თავო, ანუ მე ვუსმენ ილიას

ეს ყველაფერი — კარგი, მაგრამ ის უფრო მაინტერესებს, უცხოელი ელჩების ნალანძღი, ჩვენი „პატარა კახის“ ძეგლი ახლა რატომ დადგეს თბილისში და საზეიმოდ გახსნეს თბილისის მერმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, რატომაც მე მგონია, იმიტომ?

ილია ჭავჭავაძე 34 წლის იყო 1871 წელს, როდესაც ლელთ ღუნიას ათქმევინა: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ“, ხოლო 1899 წელს, 62 წლის იყო, როდესაც „ასის წლის წინათ“ (პირველად შემოსვლა რუსის ჯარისა ტფილისში) დაწერა — როცა ახალგაზრდა კაცის სიტყვები ვინმეს მოჰყავს, იქვე იმავე კაცის, უკვე დაბრძენებულის პუბლიცისტური წერილიც დაამატოს ხოლმე, სხვაგვარად სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს — გაზეთი არ მაძლევს საშუალებას, თორემ აქვე მოკლედ მოგითხრობდით...

მავანთ გადაეცით, ჯერ ეს ორი წაიკითხონ, შემდეგ კი, ილიასავე „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, თან თარიღებს ჩაუკვირდნენ, რომელი წელია ახლა და როდის დაწერა ილიამ:

„მთელი ევროპა მუდამ იმასა ცდილობს, რომ საომრად მოემზადოს; ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფონი არავითარს ხარჯსა და საშუალებას არა ჰზოგავენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუარებელი ჯარი იყოლიონ. ასორმოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც საფრანგეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი მონტესკიე სჩიოდა, რომ ევროპა თანდათან უმატებს ჯარებსა და თოფ-იარაღს, ამისათვის არა ჰზოგავს არავითარ ხარჯს და ამითი თავს იღარიბებს და იღატაკებსო.

მონტესკიეს სიტყვას არავინ გაუფრთხილებია და დღეს ევროპის სახელმწიფონი თოფ-იარაღში სხედან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ. ევროპის ამგვარს ყოფა-მდგომარეობას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს. ამჟამად ევროპას თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს. ამ მოკლე ხანში ოც მილიონამდე შეისრულებს. ერთის სიტყვით, მთელს ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავს ერთი მერვედი მთელის მუშა, მწარმოებელი ხალხისა. ეს ერთი მერვედი წლიდგან წლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელობაში ვარჯიშობს და თავის თანამოძმეთა ნაშრომიითა და ნაღვაწით იკვებება. საფრანგეთი, რომელსაც ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს, ჯარსა და ფლოტს ანდომებს წელიწადში 900 მილიონ ფრანკზე მეტს.

ეს ფული ყველა მკვიდრე რომ გავანაწილოთ, გამოვა, რომ თითო მკვიდრი ჯარისა და ფლოტის შესანახად იხდის წელიწადში 24 ფრანკსა და ნახევარს. ინგლისის თითო მკვიდრი იხდის წელიწადში 21 ფრანკს, და გერმანიისა 12,5-ს.

ახლა ვნახოთ, რამდენი ჯარი ჰყავს ჩრდილო ამერიკის შტატებს და რამდენი ეხარჯება. ამ შტატებს ჰყავს მხოლოდ 27 000 ჯარისკაცი. ამ მცირე ჯარის შესანახად თითო მკვიდრი წელიწადში იხდის 4,5 ფრანკს.როგორც ჰხედავთ, ამერიკის მხედრობა ბევრად ჩამორჩება ევროპისას. სამაგიეროდ ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამგვარად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიამ სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმმწიფონი–კი თანდათან ვალებში სცვივიან.

რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა და მძულვარება.

ამ მხრით ამერიკა სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ამერიკის სახელმწიფოთ აზრად აქვთ სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისათვისაც ქალაქ ნიუ–იორკში კონგრესი შეიკრიბება. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობითა და რა საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაგროს. სხვათა შორის, კონგრესზე ისიც გადაწყდება, რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარიში მორიგებითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე.

**უეჭველია, რომ რაკი ამერიკის სახელმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა.**

### 1889 წლის 25 თებერვალი

ილიამ დადო ეს დასკვნა და რასაც ახლა ვუყურებ, ტრამპი აპირებს ეკონომიურ ასპექტში „თანამედროვე მიდგომებით“ ბოლომდე ასრულებას.

ეს კი არა, ისიც კი მიფიქრია, „რუსეთი და მისი რაზმი“ რომ გადაირიონ, მგონი, ოკეანის გაღმიდან ტრამპმა მისცეს ბანი, „დასცხეთ მაგ ლიბერასტებს, ფაშისტების ჭუპრები არიან ეგენიო“, — რას გაიგებ ამ მედღეხვალიე ვაჭრისას.

ჰოდა, ლოგიკურია, რომ მრავალწახნაგა ქაოსშია მსოფლიო და ქაოსის დასრულების მომლოდინე, ზოგი თვლემს და ზოგი ფეთავს...

ჩვენ ერთი მაინც გვაქვს — დიდი ჯიკავ-ჯიკავით გავძვერით ამ ქაოსში და უბილეთოდ ვსხედვართ პარტერში...

რა ვიცი, არ მგონია, წამოგვყარონ...

მაია ჭელიძე



# მნიშვნელოვანია, კეთილდღეობის ზრდა შეფასდეს და არა სიღარიბის შემცირება



*გვესაუბრება სტატისტიკოსი ნოდარ კაპანაძე:*

**— ბატონო ნოდარ, პრემიერმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში ბოლო ოთხი წელია, მაღალი ეკონომიკური ზრდა ნარჩუნდება და შედეგად, სიღარიბეც ნახევრდება. როგორია რეალობა?**

— ძალიან კომპლექსური, რთული შეკითხვა დასვით. დავიწყოთ იმით, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა ნამდვილად გვაქვს. ბოლო სამი-ოთხი წელია, 10%-თან მიახლოებულ ზრდის მაღალ ტემპს სტაბილურად ვინარჩუნებთ, რაც კვლავაც გაგრძელდება. ახლახან „სავალუტო ფონდის", „მსოფლიო ბანკის", „ევროპის კონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" და „აზიის განვითარების ბანკის" პროგნოზები გამოქვეყნდა, რომელთა თანახმად, 2025 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 7% იქნება. ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის პროგნოზი „სავალუტო ფონდმა" გააკეთა — 7,2%. ჩემი გათვლებით, წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, სავარაუდოდ, 7,9% იქნება. რაც შეეხება იმას, აისახება თუ არა ეს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ამ მხრივ, მინდა, პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს ვურჩიო და გთხოვთ, ეს წინადადება ანშლაგად, გაზეთის პირველ გვერდზე გამოიტანოთ — სიღარიბის შემცირება თავისთავად არაჩვეულებრივია, მაგრამ საზოგადოებაში სიღარიბე რაღაც დონეზე ყოველთვის იქნება და ამას ბოლომდე ვერასდროს დავძლევთ. ბევრად მნიშვნელოვანი კეთილდღეობის ზრდის შეფასებაა და არა სიღარიბის შემცირებისა. აი, რა არის მთავარი.

ქვეყანაში სიღარიბის დონე მართლაც განახევრდა, არსებითად შემცირდა, მაგრამ ბოლომდე ამის აღმოფხვრა შეუძლებელია. ეს იგივეა, როცა ნულისკენ მიისწრაფვი, მაგრამ ნულს ვერასრდოს მიაღწევ. ჩასაფრებულის პოზიციიდან, რასაც ოპოზიციურ ტელეარხებზე ადგილი აქვს, სამმილიონიან ქვეყანაშიც და 370-მილიონიანშიც ყოველთვის იპოვი ვინმეს, ვინც ღარიბია. ან ღარიბი შემოსავლებით კი არა, მენტალურადაა. განვიხილავ სიღარიბის ხუთ გამოვლინებას: ფიზიოლოგიურს, საშემოსავლოს, ნივთიერს, სტრუქტურულს და მენტალურს, რომელთაგან ყველაზე რთული დასაძლევი სწორედ მენტალური სიღარიბეა. ამის მაგალითად სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილიც კმარა. პირადად მე, კეთილდღეობის შესაფასებლად 31 კრიტერიუმს ვიყენებ, დაწყებული საკუთარი საცხოვრისიდან, შემოსავლებით, ხარჯებით, მომავლის მოლოდინით, წარსულის შეფასებით და ა. შ. დამთავრებული. ამ პარამეტრების შედეგად, კეთილდღეობის ინდექსს ვანგარიშობ. ამ თემაზე დიდი განხილვა უნდა მოეწყოს — მხოლოდ ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით აპელირება საკმარისი არ არის. ეკონომიკური ზრდა 2006-2007-2008 წლებშიც იყო, მაგრამ ეს კეთილდღეობის ზრდაზე არ აისახებოდა. 90-იანი წლების ბოლოსაც გვქონდა ეკონომიკური ზრდა, მაგრამ კეთილდღეობის მაჩვენებელზე არც ეს ასახულა.

ამიტომ კეთილდღეობის ზრდის შეფასება, მისი ანალიზი უფრო მნიშვნელოვნად მესახება. არ მესმის, მთავრობა ყურადღებას ამაზე რატომ არ ამახვილებს, რადგან, კეთილდღეობის ინდექსს თუ დავაკვირდებით, 2024 წელს, 2009 წელთან შედარებით, 4,5-5-ჯერ არის გაზრდილი. 2013 წლიდან 2024 წლის ჩათვლით, მკვეთრად აღმავალი ზრდის ტემპი გვაქვს, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობაზე რეალურად აისახება. სისტემური ანალიზის შემთხვევაში, შემდეგი რამ გამოიკვეთება — კეთილდღეობა კი არის მზარდი, მაგრამ უსაფრთხოების ბალიში მაინცდამაინც საგრძნობი არ არის, რაც სისტემური პრობლემაა.

**— ეკონომიკური თუ სხვა პარამეტრებით, არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევების თანახმად, მოწინავე ადგილებს ვიკავებთ, თუმცა ევროკავშირი გვეუბნება: უკუსვლა გაქვთ, მოლდოვა და უკრაინა ბევრად გჯობიათო. ეს პოზიცია რით არის განპირობებული?**

— უკრაინის მდგომარეობას თუ წარმატებული ჰქვია, იგივეს მათ ვუსურვებ, ვისაც ვითომ ამის სჯერა. ჩემი ქვეყანა ასეთი „წარმატებისთვის" ნამდვილად არ მემეტება. მოლდოვაში გამართულ არჩევნებში უკვე ორჯერ რაც მოხდა და ეს რეგულარულ სახეს იღებს, ასეთი მოწინავეობაც არ მინდა. ობიექტურად თუ შევხედავთ, ყველა მაჩვენებლებით, რაც სტატისტიკას და არა ემოციებს ეფუძნება, საქართველოს ტენდენცია გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. საინტერესოა, ევროკავშირი რას ეფუძნება, როცა დემოკრატიის უკუსვლაზე საუბრობს. ეს არცერთ ოფიციალურ განცხადებაში არ თქმულა, ამაზე მხოლოდ ცალკეული ანგაჟირებული ევროპარლამენტარები: კალასი, გრეგოროვა, კუბილიუსი და სხვანი საუბრობენ. აგერ, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი 5-ათასლარიანი ჯარიმით გავაცილეთ. ეს შიშველი ემოციებია. ყველა მაჩვენებელი, რაც სტატისტიკას, ეფუძნება, გაუმჯობესებულია. დიახ, ბევრი საუბრობს, რომ ისევ ღარიბია. რა თქმა უნდა, ვიღაც ღარიბი იქნება, ვიღაც მდიდარი, გარკვეული უთანაბრობა საზოგადოებაში ყოველთვის იქნება. ამ თემით ჭიქაში ქარიშხლის გამოწვევა სარგებლიანი ვერ იქნება, ამით მხოლოდ ხალხს დაზაფრავ.

**— ბატონო ნოდარ, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანთა მცირე ჯგუფი სამას დღეზე მეტია, აქციებს მართავს. ეს ეკონომიკაზე რამდენად აისახება?**

— ამას ეკონომიკაზე არავითარი გავლენა არ აქვს — სერიოზული ხალხი, ვინც საქართველოში მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას გეგმავს, 5კვ.მ-ზე გამართულ მცირე ჯგუფის აქციებს, ყურადღებას არასდროს აქცევს. ინვესტორები სტატისტიკით ხელმძღვანელობენ, რაც აჩვენებს, რომ ამ აქციებს ეკონომიკაზე, სოციალურ მდგომარეობაზე არანაირი ზეგავლენა არ აქვს.

**— როგორ გესახებათ ადგილობრივი სოფლის მეურნეობის, მრეწველობის განვითარება?**

— ეს ერთ-ერთი უმთავრესი შეკითხვაა, რაც სწორედ კეთილდღეობის ზრდის საკითხს ეხება. ადგილობრივი წარმოების, მრეწველობის განვითარება უმნიშვნელოვანესი, ცენტრალური საკითხია. უპირველესად, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობის დემონტაჟი ყოვლად უნამუსოდ მოხდა — ქარხნები, ფაბრიკები განადგურდა. გარდა ამისა, უდიდესი პრობლემაა ის, რომ კვალიფიციურ ტექნიკურ პერსონალს 30-წლიანი სამუშაო წყვეტა აქვს, რაც რეალურ სექტორში კადრების დეკვალიფიკაციას ნიშნავს. დღეს საქართველოში კვალიფიციური ტექნიკური კადრების ნაკლებობაა. ეს მთავარი საკითხია, რაც მთავრობისთვის პირველ რიგში გადასაწყვეტი ამოცანა უნდა იყოს — ანუ, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება.

ეკონომიკური რეალური სექტორის განვითარება, მეტიც, თანაბარზომიერი სიმეტრიული განვითარება — ქვეყნის განვითარების სიმძიმის ცენტრის პერიფერიებში გადატანა, რასაც საქართველოს მეტ-ნაკლები დეურბანიზაცია უნდა მოჰყვეს, დიდი დემოგრაფიული პრობლემების მიზეზია. სტრატეგია შესამუშავებელია, პროექტი არსებობს, მაგრამ საჭიროა დაინტერესება და მისი განხორციელება, რაც დეკლარაციებით და განცხადებებით შეუძლებელია.

**— ისმის საუბრები, რომ რუსეთის ეკონომიკა გასაჭირშია. ეს რამდენად რეალურია და როგორ აისახება ყოველივე ჩვენს ეკონომიკაზე?**



— რუსეთის ეკონომიკას შეიძლება დღეს უჭირს, მაგრამ ფუნდამენტური გაჭირვება მას ნაკლებად ემუქრება, რადგან რეალური ეკონომიკისთვის არსებული რესურსების ამოუწურავი მარაგი აქვს. ასე რომ, შეუძლია ქვეყნის გარეთ არც კი გაიხედოს. რუსეთს ძლიერი ინდუსტრიული პოტენციალი აქვს, ასევე არანაკლები საბჭოთა მემკვიდრეობა, რაც, ჩვენგან განსხვავებით, იქ მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია. ამიტომ, რუსეთის ეკონომიკის ჩამოქცევას, ჩამოშლას ნაკლებად ველოდები.

რაც შეეხება იმას, თუ რა მოხდება საქართველოში რუსეთს რეალური ეკონომიკური პრობლემები რომ შეექმნას, ან რას გამოიწვევდა რუსეთის წინააღმდეგ სანქციებში მიერთება და მასთან ვაჭრობის მთლიანად გაწყვეტა, შეგახსენებთ, რომ 2022-ში 10,2% ეკონომიკური ზრდა გვქონდა, საუკეთესო შემთხვევაში, 4%-იანი, ხოლო უარეს შემთხვევაში — 14%-იანი ვარდნა გვექნებოდა. რუსეთი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი სავაჭრო პარტნიორია. გარდა ამისა, მასზე ეგზისტენციალური მნიშვნელობის პროდუქციით ვართ დამოკიდებული, ესენია: ხორბალი, მცენარეული ზეთი, საწვავი და სხვა პირველადი მოხმარების ნივთები. 2006 წელს აქ „შპიონები" რომ დაიჭირეს, ამის მერე რუსებმა ჩვენი იქ მცხოვრები მოქალაქეები სატვირთო თვითმფრინავებით გამოგვიგზავნეს და ურთიერთობები გაწყდა. შესაბამისად, რუსეთიდან ხორბლის იმპორტი, ოფიციალური სტატისტიკით, ყაზახეთმა ჩაანაცვლა. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ეს ისევ რუსული ხორბალი იყო, ყაზახური სახელით შემოსული. ამას 2007 წელს პურპროდუქტების 17%-იანი ინფლაცია მოჰყვა. პურპროდუქტების, მცენარეული ზეთის, შაქრის და ა. შ. ინფლაცია, სიღარიბის მაგენერირებელია. შავ ხიზილალაზე ფასები 10 ათასჯერაც რომ გაიზარდოს, ამას მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი იგრძნობს. ამდენად, რუსეთთან ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობების ასე იოლად ჩანაცვლება თითქმის შეუძლებელია. კი ბატონო, ეს არ არის კარგი, მაგრამ რა ვქნათ?! პრაქტიკაში ერთადერთი რაც არსებობს, რეალური პოლიტიკა და ეკონომიკაა, სხვას მნიშვნელობა არ აქვს. რეალური ეკონომიკა კი გვიჩვენებს, რომ რუსეთთან ურთიერთობა ასე იოლად ვერ ჩავანაცვლებთ.

**— ხელისუფლება კორუფციასთან ბრძოლას განაგრძობს. ახლახან რამდენიმე მაღალჩინოსნის სახლებში ჩხრეკა ჩატარდა.**

— კორუფციასთან ბრძოლა მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ის ფაქტი, რომ ვიღაც მაღალჩინოსნები დაიჭირეს, ჩხრეკა ჩაატარეს და ა. შ. კვეთს შემდეგ პრობლემას — ქვეყანაში არსებული სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის სატენდერო სისტემა საფუძველშივე თავადვე კორუფციულია. ეს სისტემა საფუძველშივე გამორიცხავს სახელმწიფო ფინანსების ეფექტურ ხარჯვას, ასევე, ყველაზე მნიშვნელოვანი რამის — ინსტიტუციონალური მეხსიერების შექმნას. ეს დიდი პრობლემაა. მაგალითად, კარგია, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი შენდება, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ამ პორტში ნაპირსამაგრ სამუშაოებს ბელგიური და არა სახელმწიფო კომპანია „საქნაპირმშენი" ასრულებს. ასე ჩვენ ყოველთვის მომხმარებლები ვიქნებით და აქ არანაირი ინტელექტუალური შედეგი არ დარჩება. ეს დიდი პრობლემაა. სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო სისტემა უზრუნველყოფს, რომ ინსტიტუციონალური მეხსიერება არანაირად არ შეიქმნას. ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა ისევ ლიბერალურ პარადიგმაშია. გაიძახიან: სახელმწიფო არ შეიძლება ეკონომიკაში ჩაერიოსო. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე არცერთ ქვეყანაში ეკონომიკური განვითარება არ მომხდარა.



**თამარ შველიძე**



# არაჩვეულებრივი ოსტატების ცოდნა არ უნდა დაიკარგოს

**საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. მე თუ მკითხავთ, მას ეს ჯილდო ცოტა ადრეც ეკუთვნოდა. რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ერთი, დიდი წვლილი მიუძღვის სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟში და მეორეც - მთელი ცხოვრება ახალგაზრდებს ზრდის და უკვე მოქმედ მხატვრებსაც პატრონობს. არ დაგიმალავთ, იგი ჩემი პედაგოგიც იყო მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, ფერწერას მასწავლიდა. თუ ვინმე იმსახურებს ამ ჯილდოს, ეს ბატონი გურამია.**

**- ბატონო გურამ, გილოცავთ ჩვენი გაზეთის სახელით და გისურვებთ წარმატებებს.**

- მადლობა, მხოლოდ მე არ დამაჯილდოვეს, კიდევ რამდენიმე იყო - მოქანდაკე გია ჯაფარიძე, ფერმწერი გია მარგველაშვილი და სამხატვრო აკადემიის პროფესორი თამარ გრიგოლია. არა მხოლოდ მხატვრები დაჯილდოვდნენ, იქ იყვნენ ხელოვნების სხვა სფეროების წარმომადგენლები.

**- მე ვფიქრობ, ეს არის თქვენი სფეროს დაფასება. წინა ხელისუფლების დროს იყო უყურადღებობა, დაუფასებლობა და მეტიც, თითქმის ყველაფერი წაგართვეს, რაც კი რამ გაგაჩნდათ მხატვრებს.**

- ჩვენ ძალიან ბევრი რამე დავკარგეთ წინა ხელისუფლების დროს. რა თქმა უნდა, ეს არის ჩვენი დაფასება.

1990-იანი წლებში, კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ დაიწვა და განადგურდა მხატვრის სახლი, 6 მილიონის ქონება გაცამტვერდა. ამას თავი დავანებოთ, ეს იყო კულტურის არაჩვეულებრივი კერა. ამ ტერიტორიის დასაბრუნებლად წლების განმავლობაში ვიბრძოლეთ წინა ხელისუფლების პერიოდში, სასამართლოს საშუალებით დავიბრუნეთ კიდეც, უზენაესმა სასამართლომაც გადაწყვიტა ჩვენს სასარგებლოდ საქმე, მაგრამ შემდეგ ბენდუქიძის ჩარევით ეს გადაწყვეტილება შეცვალეს და ტერიტორია გადასცეს მოწინააღმდეგე მხარეს. ამ ადგილზე დღეს არის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ძალიან კარგი საქმე გაკეთდა, მაგრამ ჩვენ იქ აღარაფერი გვეკუთვნის. მიუხედავად უამრავი თხოვნისა, მიმართვისა, ვერანაირი კომპენსაცია ვერ მივიღეთ. მაშინ ბევრი ადამიანი დაზარალდა, რაც დაიწვა, გასაგებია, მერე ქანდაკების კომბინატზე გადავიდნენ, საამქროებს მიადგნენ და სხვა რამეებიც მიაყოლეს.

**- თქვენი ქონება განიავდა „ნაციონალების" ზეობის ხანაში, ხომ?**

- რა თქმა უნდა, ეს იყო „ნაცების" ზეობის ხანა, უფრო სწორად, უზნეობის ხანა.

**- გიული ალასანიამ მხატვართა კავშირის თავმჯდომარედ თავისი დაქალი რომ დანიშნა, რა გვარის ქალი იყო?**

- დანიშნა, ცოტა ისეთი ნათქვამია, ჩვენთან ეს ამბავი არჩევნებით ხდება. ეს იყო ცისანა მჭედლიძე, შენ გახსოვს მაშინდელი პერიპეტიები, ეს ქალი მეგობრობდა გიული ალასანიასთან. მანამდე იყო გია ბუღაძე. ბევრი რამე დაიკარგა, იმდენად მნიშვნელოვანი ქონება გასხვისდა და დაიკარგა - ნამუშევრები, ბიბლიოთეკაც გვქონდა, ეგეც განადგურდა. ჩვენ მაშინ მივმართეთ შესაბამის სტრუქტურებს, ჩვენთვის რაღაც კომპენსაცია მოეცათ, მაგრამ არა, პირიქით, საერთოდ წინააღმდეგნი იყვნენ შემოქმედებითი კავშირების არსებობისა. ამათ არ ესმით, რამხელა კარგი საქმეები გააკეთეს ამ შემოქმედებითმა კავშირებმა, ეს იყო აღორძინების ეპოქა. არ მესმის, რატომ უნდა ყოფილიყვნენ ამის წინააღმდეგნი?

**- მე მგონი, თქვენ, მხატვრებს მაინც გაგიმართლათ, ავტომატებით არ დაგადგნენ თავზე და ისე არ გამოგყარეს, როგორც მწერლებს მოექცნენ.**

- ფაქტობრივად ჩვენ დასაკარგწასართმევი აღარაფერი გვქონდა, ეს დაგვრჩა, სადაც ახლა ვიმყოფებით საბურთალოზე, აქვე გვაქვს კერამიკის არაჩვეულებრივი საამქრო, აქ არის მხატვართა სახელოსნოები...

**- ესე იგი, კერამიკის საამქრო მაინც დაგრჩათ, ხომ?**

- კი, სადაც ადრე სამხატვრო კომბინატი იყო, აქ ვიმყოფებით და სახელმწიფომ გადმოგვცა უზურფრუქტით. აქ არის ჩვენი გალერეაც. ეს ყველაფერი ჩვენი მხატვრების შემოსავლებით არის აშენებული თავის დროზე. ძალიან დიდი დაკვეთები მოდიოდა, მილიონობით შემოსავლები ჰქონდა სამხატვრო ფონდს. კანონმდებლობა, რომელიც მაშინ მოქმედებდა, დღესაც მოქმედებს, მე ამის თაობაზე მქონდა საუბარი პარლამენტის თავმჯდომარესთან, შალვა პაპუაშვილთან, კულტურის კომიტეტის თავცმჯდომარესთან, გიორგი გაბუნიასთან, ისინი ყურადღებით მოეკიდნენ ამ საკითხებს, ჩვენ უახლოეს ხანში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ველოდებით.

**- ბატონო გურამ, ეს რა კანონზეა საუბარი?**

- არსებობს „კანონი შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ", ყველა შემოქმედებითი კავშირი ამ კანონს ეფუძნება.

**- რა არის ამ კანონში თქვენთვის სახეირო?**

- ძალიან კარგი კანონია, მაგრამ რაღაც მუხლებია შესაცვლელი, მოძველებულია. მე მქონდა ამ თემაზეც გიორგი გაბუნიასთან საუბარი, ის განათლებული და კომუნიკაბელური პიროვნებაა, უახლოეს ხანში კიდევ უნდა შევხვდე, ამ საკითხებს ჩავუღრმავდებით. ირაკლი კობახიძემაც ისაუბრა ამ თემაზე, როცა ჩვენ დაგვაჯილდოვეს. ადრე არავინ არ გვისმენდა, არავინ ყურადღებას არ გვაქცევდა, ახლა უკვე მზად ვართ თანამშრომლობისთვის. ათასობით წევრი გვყავს, ჩვენ დიდი პოტენციალი გაგვაჩნია.

**- რამდენი წევრი გყავთ?**

- დაახლოებით სამი ათასამდე რეგიონების ჩათვლით.

სულ ვეუბნები მომავალ თაობას, იმ უბედურმა წლებმა ქვეყანას რა მოუტანა. იმის გამოძახილი დღემდე გრძელდება, რა დამხობა, რის დამხობა, ქვეყანას მივხედოთ, რამე არ მოგწონს? თქვი ნორმალურად შენი აზრი მხატვარმაც, რეჟისორმაც, მუსიკოსმაც, მსახიობმაც, ერთმანეთს აუცილებლად თავ-პირი უნდა დავალეწოთ? ჩვენ ბეწვის ხიდზე გავდივართ ყოველდღიურად, მთელ მსოფლიოში დაძაბული მდგომარეობაა, კაცმა არ იცის, ხვალ რა იქნება და ქვეყნის შიგნით კიდევ ცეცხლის დანთება გვინდა? ახლა რომ თავისუფალი აზრის გამოხატვაა, როდისმე ასე ყოფილა?

**- ხშირად ნამეტანიც კი მოსდით აკაცუკებს.**

- კი, ბატონო, გამოთქვან თავიანთი აზრი, ნუ შეგვჭამენ, მთლად ნუ გაგიჟდებიან.

**- ბატონო გურამ, როგორც მახსოვს, თქვენ ერთი საამქრო ორხევშიც გქონდათ.**

- გვაქვს, მაგის წაღებაც უნდოდათ, მაგრამ გადავარჩინეთ, ეგ არის ქანდაკებების საამქრო. ფაქტობრივად გასხვისებული იყო, ჩვენ გადმოგვცეს, მაგრამ სახელმწიფო საკუთრების სტატუსი აქვს.

**- ამჟამად მოქმედებს?**

- ახლა ერეკლე მეორის ძეგლი რომ დაიდგა, ჩვენთან ჩამოასხეს. იქ ძალიან კარგი სპეციალისტები მუშაობენ, ბრწყინვალე პროფესიონალები არიან. საჩამომსხმელო საამქროები სხვებმაც გახსნეს თბილისში, მაგრამ ეს ერთ-ერთი უძველესი საამქროა, თავის დროზე დავით აღმაშენებლის ძეგლიც იქ ჩამოისხა.

**- რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრმა წარმოგვიდგინა განათლების რეფორმის გეგმა, ამ მხრივ არანაკლები პრობლემებია თქვენს სფეროშიც - თბილისში გვქონდა თოიძის სამხატვრო სასწავლებელი, ასევე გვქონდა იაკობ ნიკოლაძის სამხატვრო ტექნიკუმი, ორივე გაქრა, დაიხურა და შენობები გასხვისდა. არ გქავთ სურვილი, რომ ეს ორი სასწავლებელი განახლდეს? არ შეიძლებოდა დახურვა რამდენიმე მიზეზის გამო, ჯერ ერთი, ეს იყო სამხატვრო აკადემიის ბაზები და მეორეც - აქ იზრდებოდნენ საუკეთესო ხელოვანები და ხელოსნებიც კი.**

- ძალიან სამწუხაროა, რომ ეს ორი პრესტიჟული სასწავლებელი გაანადგურეს. სადაც თოიძის სასწავლებელი იყო, იქ ახლა სასტუმროა. ამჟამად ამ სპეციალობის ხალხი აღარსად მზადდება. ამ დროს არაჩვეულებრივი ოსტატების თაობა ისე მიდის, რომ თავიანთ ცოდნას ვერავის ვერ გადასცემენ. ჩვენ ვზრდიდით მომხატველებს, არქიტექტურული დეტალების ჩამომსხმელებს, საიუველირო ნაწარმის სპეციალისტებს, გობელენის მქსოველებს. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის კურსდამთავრებული არაფრით ჩამოუვარდებოდა სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულს. გახსოვს, მეც იქ ვმუშაობდი, ისეთი დონის ნამუშევრები გვქონდა, უცხოეთში გადიოდა. ახლა რომ მიდის ჩვენი ეკლესია-მონასტრების აღდგენითი სამუშაოები, ეს ხომ მაღალი დონის პროფესიონალებმა უნდა შეასრულონ? ამას უცხოელი ისე ვერ გააკეთებს, როგორც ქართველი. საიდან მოვიყვანოთ სპეციალისტები, თუ არ აღვზარდეთ? ალბათ გახსოვს, ვაპროტესტებდით, დაჭერაც დამიპირეს. ამ ორი სასწავლებლის აღდგენაზე საუბარი მიდის.

**- რა დონეზე მიდის?**

- ერთი კარგი მხატვარია, ირაკლი ფაჩულია, ამაზე იბრძვის და როგორც ვიცი, წინსვლა არის, საკითხი დადებითად გადაწყდა. ეს სასწავლებლები ადრინდელი სახით ვეღარ აღდგება, მაგრამ რამდენიმე პროფესიის განახლება შეიძლება.

**- ვფიქრობ, სწორედ ახლაა აღდგენის დრო, როცა განათლებაში დიდი რეფორმა იწყება.**

- ეს თუ გაკეთდა და ვიცი, რომ გაკეთდება, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მთელი საქართველოსთვის. გემახსოვრება, რა დონეზე იყო მხატვრული ჭრა, ცხონებული ვასილ საღლიანი ასწავლიდა. იყო ქვის მხატვრული დამუშავება. ჩვენი სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ რუსთაველის თეატრში, მარჯანიშვილის თეატრში.

**- მაგალითად, მე ვამაყობ, რომ რუსთაველის თეატრის შიდა ინტერიერი ჩემი და ჩემი ჯგუფელების მოოქროვილია, ძირითადად ჭერზე ვმუშაობდით.**

- დიახ, მახსოვს, ოპერის თეატრსაც ჩვენ გავუკეთეთ რესტავრაცია. 1980-იან წლებში მოსკოვში ოლიმპიადა რომ ტარდებოდა, მთელი ჯგუფი მე ჩავიყვანე ზურაბ წერეთელთან, გაფორმებაზე ვმუშაობდით.

**- ჩვენ უკრაინაშიც ვიყავით, ერთ-ერთი ატომური ელექტროსადგურის ეზოში მოზაიკა გავაკეთეთ, თუ არ ვცდები, ნიკოლაევში იყო.**

- დიახ, მოთხოვნა იყო ჩვენზე და ყველგან დავდიოდით. როგორ მოისპო ეს ყველაფერი? ჩეხოსლოვაკიასთან გვქონდა გაცვლითი პროგრამები, ბულგარეთთან.

**- და ბოლოს, ცოტა ხნის წინ თქვენს საამქროს და ოფისს თვალი დაადგეს ძმებმა ბეჟუაშვილებმა, მაგ ადგილზე ჩვენი ევროპული სკოლა უნდა განვავითაროთო, თუ არ ვცდები, მეზობლად გყვანან და გაფართოება მოინდომეს. ეგ საქმე როგორ დასრულდა?**

- კი, მთელი ტერიტორიის შესყიდვა უნდოდათ.

**- გადავრჩით?**

- ეგ საკითხი გადაწყვიტა ირაკლი კობახიძემ, ამიერიდან ვერავინ შეგვეხება. მე პირადად მქონდა მასთან საუბარი და გარკვევით თქვა, რომ ქართველ მხატვრებს არავის დააჩაგვრინებენ. თუ რამე იქნება სათქმელი, ყოველთვის ვიტყვი, შენ იცი ჩემი ხასიათი, ისიც იცი, რა დღეში ვიყავი „ნაცების" დროს.

**- ვიცი, რა დღეში იყავით, ცირკის ასახვევში შიშველი კაცის ძეგლი რომ დადგეს და პრომეთე დაარქვეს.**

- აბა, კაცო, რა თანხები მისცეს ვიღაც უნიჭოს ბიუჯეტიდან. მერე მოაშორეს იქიდან, თვითონვე შერცხვათ. დღეს პროცესები კარგად მიდის, ვნახოთ, რა იქნება შემდგომში.



**- პრომეთე კი ავიღეთ, მაგრამ რესპუბლიკის მოედნიდან ველოსიპედი ვერ ავიღეთ.**

- მე კინაღამ დამიჭირეს მაგ პრომეთეს გამო, ველოსიპედი ვერ ავიღეთ, შლოპანცები ავიღეთ. უკეთესი ძეგლები და ბიუსტებია დასადგმელი. იმ აღმაშენებლის ძეგლის გადატანაზეც რა დღეში ჩავვარდი, როგორ ვაპროტესტებდი. ვინ გვისმენდა? გაჩერდი, თორემ გაგბაწრავენო, მაფრთხილებდნენ. დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, როგორც მიუჩინა ზოგიერთ ვაიპოლიტიკოსს. რჩება ღირებულებები, რჩება ქართული ხელოვნება და რჩება ქართული კულტურა.

ესაუბრა
გელა ზედელაშვილი

№38 (815) 22.X. 2025 წ.

# ტრამპის ეგვიპტური ბენეფისი



სამწუხარო ფაქტია — დღეს მსოფლიოში პოლიტიკურმა კრიზისმა დაისადგურა. ამის გარდა, თვალშისაცემია ღირსეული პოლიტიკოსების დეფიციტი, რასაც ორი ათეული წლის წინათ ვერავინ წარმოიდგენდა.

განსაკუთრებით სახიფათოა ე. წ. ომის პარტია, რომელსაც ჯერ კიდევ მყარად აქვს ფესვები გადგმული თითქმის ყველა კონტინენტზე. ევროპელი ანალიტიკოსები ღიად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ევროკავშირისა და „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე ბევრი ქვეყნის ხელმძღვანელი არაკომპეტენტურები და თანამდებობებისთვის შეუფერებლები არიან. ყოველივე ამის დასტურია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ევროპელებისადმი დამოკიდებულება.

მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა გასულ კვირას ეგვიპტეში. საკურორტო ქალაქ შარმან შეიხში გაიმართა „სამშვიდობო სამიტი“, სადაც ღაზას სექტორში საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა. აღსანიშნავია, რომ შეთანხმებას ხელი აშშ-ის, ყატარის, თურქეთისა და ეგვიპტის ხელმძღვანელებმა მოაწერეს. ექსპერტების გაოცება გამოიწვია იმან, რომ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ხელმოწერა არ დაუფიქსირებიათ. ანალიტიკოსები, ასევე, ღიად აღნიშნავენ, რომ თუ პალესტინის სახელმწიფოს შექმნისა და აღიარების სურვილი რეალური არ იქნება, სამშვიდობო შეთანხმება ხანმოკლე აღმოჩნდება.

„ჰამასის“ შეიარაღებულმა დაჯგუფებამ უერი განაცხადა სრულ განიარაღებაზე, ვიდრე ისრაელი გარკვეულ პირობებს არ შეასრულებს და უსაფრთხოების გარანტიებს არ მიიღებენ. ამან დონალდ ტრამპი განარისხა: „ჰამასელებს მოვუწოდეთ განიარაღებისკენ და თუ ამას ნებით არ გააკეთებენ, ჩვენ განვაიარაღებთ“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა. ტრამპი თავის მხრივ დაემუქრა, თუ კვლავ გაგრძელდება ხალხის დახოცვა, „ჰამასს“ გაანადგურებს.

სამწუხაროდ, ნაწილობრივ გამართლდა ექსპერტების შიში, გასულ შაბათს ისრაელის არმიამ კვლავ განახორციელა შეტევა ღაზას სექტორში. მიზეზად „ჰამასის“ მხრიდან ზავის პირობების დარღვევა დაასახელეს. თუმცა შეთანხმების პირობების დარღვევაში პალესტინელები ისრაელს ადანაშაულებენ, რადგან მან არასრულფასოვნად გახსნა ეგვიპტესთან საზღვარი ღაზას სექტორში ჰუმანიტარული დახმარების შესატანად, რაც იქაური მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ გაგზავნა ტრამპმა სასწრაფოდ ისრაელში საკუთარი წარმომადგენელი სტივ უიტკოფი და თავისი სიძე ჯად კუშნერი. მათ ჩასვლამდე ისრაელის მხარემ განაცხადა, რომ გააგრძელებს სამშვიდობო ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

ეგვიპტეში გამართული „სამშვიდობო სამიტი“ ექსპერტებმა დონალდ ტრამპის ბენეფისად შეაფასეს. შარმან შეიხში თეთრი სახლის ლიდერი ისრაელიდან ჩავიდა, ქნესეტში სიტყვითაც გამოვიდა, სადაც ოვაციებით შეხვდნენ. ოვაციები ტრამპს არც ეგვიპტეში მოკლებია. 30 ქვეყნის მეთაური ცდილობდა მისი კეთილგანწყობის მოპოვებას, მაგრამ ტრამპი მათ ნაკლებად აქცევდა ყურადღებას. უფრო მეტიც, ირონიულადაც იქცეოდა. საგულისხმო იყო მისი სიტყვით გამოსვლა სამიტის დასრულების შემდეგ: „... არიან ევროპელი ლიდერები, რომლებიც საერთოდ არ მომწონს, თუმცა ახლა მათ ვინაობას არ დავასახელებ. ევროპაში მყავს ერთი-ორი მეგობარიც“.

დიპლომატიაში და, საერთოდ, პოლიტიკაში, უცნაური და იშვიათი შემთხვევა დაფიქსირდა. სიტყვით გამოსვლისას ტრამპმა ტრიბუნასთან მიიხმო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კირ სტარმერი. ყველამ იფიქრა, სიტყვას გადასცემსო, მაგრამ ტრამპმა მას ზურგი შეაქცია, რითიც აგრძნობინა, რომ თავისი ადგილი დაეკავებინა. სტარმერი გაოგნებული სახით დაბრუნდა. ასევე ცივად და უკმეხად შეხვდა ტრამპი საფრანგეთის პრეზიდენტს ემანუელ მაკრონს. სიტუაციიდან გამომდინარე, გერმანიის კანცლერმა ფრიდრიჰ მერცმა არჩია, ჩრდილში დარჩენილიყო. ევროპელთაგან ღირსეულად და პატივისცემით ტრამპი უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს მიესალმა.

ორი კვირის წინ დონალდ ტრამპმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ფიქრობს უკრაინისთვის ფრთოსანი რაკეტების „ტომაჰავკების“ გადაცემაზე. თუმცა იქვე დაამატა: „ჯერ უნდა გავარკვიო, სად გემოიყენებენ მათ“. შორსმოქმედი იარაღის გადაცემის შესაძლებლობამ გაახარა უკრაინელები. სამაგიეროდ, ამ ამბავმა რუსეთი შეაშფოთა. კრემლის ჩინოვნიკების განცხადებით, ფრთოსანი რაკეტების ექსპლუატაციას უკრაინელები დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ, ხოლო ამერიკელი სამხედროების ჩართვა ქვეყნებს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებას გამოიწვევდა. უცნობი იყო, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. 17 ოქტომბერს დაიგეგმა აშშ-ში უკრაინის პრეზიდენტის ვოლოდიმირ ზელენსკის ვიზიტი. „პუტინს არ ესმის, რას ამბობს მსოფლიო. ერთადერთი, რაც ჯერ კიდევ შეუძლია გაიგოს, ზეწოლა, სანქციები, შორსმოქმედი იარაღია“, — განუცხადა ზელენსკიმ ვიზიტამდე „ტელეგრამ-კანალს“.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა გასულ კვირას. ხუთშაბათს დონალდ ტრამპმა სოცქსელებში დაწერა, რომ გეგმავდა რუს კოლეგასთან ვლადიმირ პუტინთან სატელეფონო საუბარს. მანამდე არაერთხელ განაცხადა, რომ სჯერა, რუსეთის ლიდერს სურვილი აქვს, დაასრულოს უკრაინის კრიზისი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 19 აგვისტოს შემდეგ ორი ქვეყნის მეთაურებს პირადი კონტაქტი არ ჰქონიათ. რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის იური უშაკოვის თქმით, მაშინ პრეზიდენტებმა მხარი დაუჭირეს რუსეთ-უკრაინის დელეგაციების პირდაპირ კონტაქტს. თუმცა ზელენსკი ბრძოლების გაგრძელებას ემხრობოდა და იდეა განუხორციელებელი დარჩა.

მართლაც, ხუთშაბათს გაიმართა დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის წლეულს უკვე მერვე სატელეფონო საუბარი, რომელიც ორსაათ-ნახევარზე მეტხანს გაგრძელდა. საუბრის დეტალები, ტრადიციულად, უცნობია, მაგრამ თუ მის ხანგრძლივობას გავითვალისწინებთ, პრეზიდენტებმა ბევრი თემა განიხილეს. ცნობილი გახდა, რომ ტრამპი და პუტინი ერთმანეთს პირისპირ უახლოეს ხანში შეხვდებიან. ტრამპის სურვილით, სამიტი უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართება, რაზეც პუტინი უყოყმანოდ დათანხმდა. სენსასიური ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა: „ეს კარგი ახალი ამბავია მათთვის, ვისაც მშვიდობას სურს. ბუდაპეშტი მზად არის სამიტის ორგანიზებისთვის“.

გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტების დიალოგი მარტივი არ ყოფილა. თუმცა კრემლში და თეთრ სახლში ის პროდუქტიულად და ნაყოფიერად შეაფასეს. ტრამპმა სოცქსელებში დაწერა: „ახლო აღმოსავლეთში განხორციელებული სამშვიდობო პროცესი დაგვეხმარება უკრაინის ომის დასრულებაში“. იქვე აღნიშნა, რომ პუტინმა მიულოცა მას და აშშ-ს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება, რომელზეც საუკუნეები ოცნებობდნენ. პუტინმა ასევე, მადლობა გადაუხადა ტრამპის მეუღლეს მელანიას უკრაინელი ბავშვებისადმი გამოჩენილი გულისხმიერებისთვის.

აშშ-რუსეთის პრეზიდენტების სამიტი მარტივი არ იქნება, ამის შესახებ თავად დონალდ ტრამპმა განუცხადა ჟურნალისტებს. პრეზიდენტების სამიტამდე ამ კვირაში ერთმანეთს ორი ქვეყნის ჩინოვნიკები შეხვდებიან. აშშ-ის დელეგაციას სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო უხელმძღვანელებს, რუსეთისას — საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი.

საგანგაშო ინფორმაცია გაავრცელა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პეტერ სიიატრომ. მისი თქმით, ევროპული „ომის პარტია“ მცდელობას არ დააკლებს, რომ დაგეგმილი სამიტი ჩაშალონ. ვარაუდები ერთია, მაგრამ გამორიცხული არაფერია. ორი კვირის წინ ემანუელ მაკრონმა აკი ღიად განაცხადა, რომ „წლის დასაწყისში ვშიშობდი, უკრაინაში მშვიდობა მალე დაისადგურებდა, ახლა უნდა განვაგრძოთ უკრაინისთვის დახმარება ბრძოლის გასაგრძელებლად“.

დათქმულ დროს ჩაფრინდა ზელენსკი ვაშინგტონში. თუმცა აეროდრომზე მასპინძელთაგან არავინ დახვედრია. უხერხულობის დასაფარავად დახვედრის სცენა დელეგაციის წევრებმა და თვითმფრინავის ეკიპაჟმა გაითამაშეს. სწორედ აეროდრომზე შეიტყო ზელენსკიმ ტრამპი-პუტინის სსაუბრის შესახებ, რაც მისთვის ცივი შხაპის ტოლფასი აღმოჩნდა. თუმცა ვიზიტისთვის საგულდაგულოდ ემზადებოდა. გამოცემა „ბლუმბერგის“ ცნობით, ზელენსკი აშშ-ში გრძელი ნუსხით ჩავიდა, რის თხოვნასაც ტრამპისთვის აპირებდა.

თეთრ სახლში შეხვედრა ერთი შეხედვით მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ ზელენსკის სახეზე აშკარად ეტყობოდა დაძაბულობა. აღსანიშნავიას ის გარემოებაც, რომ ტრამპმა 30 წუთით დაიგვიანა, რადგან ოვალურ კაბინეტში იტალიელ მომღერალს ანდრეა ბოჩელის ხვდებოდა და მის სიმღერებს უსმენდა. აშშ-უკრაინას შორის დიალოგი ზელენსკისთვის არასასურველად წარიმართა. ტრამპმა მას პირდაპირ უთხრა უარი ფრთოსანი რაკეტების, საერთოდ, შეიარაღების გადაცემაზე და მოუწოდა, რომ მხარეები იქ შეჩერდნენ, სადაც ახლა იმყოფებიან და შეწყვიტონ ბრძოლები.

პორტალ „აქსიოსის“ ინფორმაციით, დახურულ ფორმატში შეხვედრა მძიმედ წარიმართა. გამოცემა „თაიმსი“ იუწყება, რომ ტრამპი რამდენჯერმე ყვირილზეც გადავიდა და უცენზურო სიტყვებიც კი გამოიყენა. მოკლედ, ამერიკელი ჟურნალისტები, ანალიტიკოსები ზელენსკის ვიზიტს სრულიად უნაყოფოდ აფასებენ. აღსანიშნავია, რომ ზელენსკის უფლება არ მისცეს, თეთრი სახლის ტერიტორიაზე გაემართა ბრიფინგი. მართალია, ტრამპი კატეგორიულად ითხოვს, შეაჩერონ ბრძოლა, მაგრამ ზელენსკი დათმობებზე წასვლას არ აპირებს. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

და კიდევ, დონალდ ტრამპი ითხოვს, დაიწყონ მოკვლევა ჯორჯ სოროსის წინაღმდეგ, რომელიც აფინანსებს არეულობებს როგორც აშშ-ში, ასევე მსოფლიოში. შაბათს აშშ-ის დიდ ქალაქებში გაიმართა დემონსტრაციები ლოზუნგით „არა — მეფეებს!“ ასევე აპროტესტებდნენ ტრამპის საემიგრაციო პოლიტიკას. დემონსტრაციები არეულობებში გადაიზარდა. აქციების ორგანიზებაში სოროსის ფონდებს ადანაშაულებენ, მაგრამ ორგანიზატორები, ტრადიციულად, ჩრდილში არიან.

როგორც ვხედავთ, გლობალისტების დამარცხება იოლი არ ყოფილა თვით დონალდ ტრამპისთვისაც კი.



**გია ბურდული**

# „კობრას ეფექტი"



დილას უჟმურაკიდებულმა გავიღვიძე. რანაირად არ ვეცადე, მაგრამ ვერ მოვიშორე და ვიფიქრე, გადავხედავ ახალ ამბებს, ის მაინც გავიგო, რომელ ქვეყანასა და რომელ ქალაქში გავიღვიძე-მეთქი.

ვაჰ, ბიჯოოოო! ისეთი ჩამონათვალი ვნახე, უჟმური ხომ გადამავიწყდა და, ანეკდოტების იშტაზეც მოვედი.

მოკლედ, ოთხი ოქტომბრის აქციის ორგანიზატორობას აბრალებენ გაბრიყვებულ „პირველ მერცხლებს" ბანის თამადობით და შლეიფად მიაყოლეს რამდენიმე ის მშვიდობიანი გამვლელი, რომელთაც ორბელიანის ქუჩაზე პრეზიდენტის სასახლის მესერი გამოეკიდა.

ახლა მხოლოდ ერთი შეკითხვა მიტრიალებს ენის წვერზე: ორბელიანის ქუჩაზე და მიმდებარედ, რომელი კლინიკაა? ფსიქიატრიული ისედაც არ უნდა იყოს პრეზიდენტის სასახლესთან, „ადამიანურ" კლინიკაზე გეკითხებით, „საყველაფრო" პროფილისაზე.

რა ვიცი, ოთხი ოქტომბრის შაბათი დღის ოთხიდან ხუთ საათამდე, თუ მავნე განზრახვით არ იყვნენ პრეზიდენტის სასახლესთან მისულები, ასე ერთად, ერთსა და იმავე დროს, ყველა სნეულს რატომ მოუნდა იქ მისვლა და მესერის ჯაჯგური?

დააკავეს მესერგამოკიდებულები და:

არ დააპატიმროთ, რა, ის, კაი კაცია, ორი სტენტი აქვს, წნევა აწუხებს და მედიკამენტებზეაო;

ისიც მეორეც კაი კაცია, გულზე ხუთი შუნტი აქვს, თავი სტკივა და ცალ თვალში მხედველობა დაქვეითებული აქვსო;

ის განა ცუდია, კაი ბიჭია, წლების წინათ ცე ჰეპატიტი გადაიტანა და ციხეში ისევ დაემართებაო;

ის რაღა შუაშია, კაი ბიჭია, სამი წლის წინათ თირკმლის ოპერაცია გაიკეთაო;

ისიც კაი ბიჭია, ცალი თირკმელი აქვსო;

იმისგან რა უნდათ, კაი ბიჭია, ფეხშია დაჭრილიო;

ისაო, კაი ბიჭია, საოპერაციოდ ემზადებოდაო;

ისიცაო, კარგი კაცია, თვითონ კი არის ჯანმრთელად, მაგრამ ცოლს აქვს ჯანმრთელობის პრობლემებიო;

ის კიდე, კაი ბიჭია, იმასავით ოჯახის წევრები ჰყავს შეუძლოდო;

ისიც კაი ბიჭია, ბებიას სიმსივნე აქვსო;

ის კაი კაცია, თანაც ობოლიაო;

ისო, კაი კაცია, მოხუც დედას უვლისო;

ისაო, კაი კაცია, ბანკის ვალს იხდის და რომ დააპატიმრონ, დედამისს ჩამოეჭრება პენსიაო;

ისიცაო, კაი კაცია, ორ შვილს უვლის და ფიზიკურად მუშაობსო;

ის მთლად კაი კაცია, აქციაზე დედასთან ერთად იყო და თანაც არასრულწლოვანი შვილი ჰყავსო;

ის კიდევ, მთლად კაი კაცია, პედიატრიაო.

ბლინ, პედიატრი კი არა, ერთიორი ფსიქიატრი წამლად მაინც გაეყოლებინათ...

ყველას რა ჩამოთვლის, მაგრამ ფაქტია, ორბელიანის ქუჩაზე პრეზიდენტის რეზიდენციასთან, მიმდებარედ და თვით სასახლის პერიმეტრზეც მხოლოდ გამვლელი სნეულები ყოფილან.

ისე მენგელეც ექიმი იყო — ექიმობა ინდულგენციაა?

კარგი, ესენი გამვლელი სნეულები არიან და თავიანთი ბელადივით სნეულობას აწვებიან უკვე ჩასვრილ მდგომარეობაში, მაგრამ ჯანმრთელი გულადი აღარავინ დარჩა, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორობა საკუთარ თავზე აიღოს?

ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა: მატარებლის კუპეში სამი მამაკაცი და ერთი ლამაზი ქალი არიან, ბათუმში მიემგზავრებიან. გორთან გაზი გაეპარა ლამაზმანს და იმერელმა დაიბრალა, პრასი მიყვარს ძალიან და მაპატიეთო. რიკოთზე ისევ გაეპარა და მეგრელმა გამოიდო თავი, მაპატიეთ, ლობიოს ბრალიაო. ნატანებთან გურულმა მოაგროვა თავისი ბარგი და კაცებს სიტყვა დაუტოვა: ბათუმამდე კი ჩაი***ვამს მაი ქალი და იგი მე ვიქნები, კარგად მეყოლეთო და ჩავიდა.

ჰოდა, იმ გურულისა არ იყოს, დაიბრალოს ვინმემ, ნაღდი ხომ ვიცით, ვინც აწყობდა, ცდილობს და კვლავ შეეცდება რევოლუციების მოწყობას მანამ, სანამ ერთი და იმავე დანაშაულის ჩადენისთვის დაკავებულებს რაიმე ნიშნით გამოარჩევენ...

ისე, რომ ვიცოდეთ — ბოლოლოს, როგორ ჩამოვყალიბდით, 18-20 წლის რევოლუციონერი ჯერ დამწყებია და ცოდოა, ხოლო 70-72 წლის რევოლუციონერი უკვე გაცვეთილია და ისიც ცოდოა?!

ვაჰ, ჩემი უბედობის რა ვთქვა, არცერთ ასაკობრივ კატეგორიაში არ ვჯდები და, მაშასადამე, უპირობოდ დასაჭერი ვარ — იმ გურულისა არ იყოს, პირდაპირ მე ხომ არ დავიბრალო რევოლუციის მცდელობის ორგანიზატორობა?

გამოვხედე და, შეკრებისა და მანიფესტაციებთან დაკავშირებით, თურმე ახალი რეგულაციები ამოქმედდება. ჩამონათვალს აღარ გავიმეორებ, მხოლოდ სასჯელებზე გავამახვილებ ყურადღებას — რაღაცის პირველივე შემთხვევა 15 დღე ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს, ხოლო თუ ორგანიზატორი ხარ — 20 დღე უნდა იყურყუტო პონტის გარეშე;

თუ პოლიციელ ბიძიას არ დაუჯერებ, პირველივე შემთხვევაში 60 დღე იქნები უპონტოდ; „ხლაპუშკები", იარაღი ან რამე ეგეთი თუ გექნება, 60 დღე მოგიწევს მაშინაც, მაგრამ თუ კიდევ გაიმეორებ, 1 წელი ზედ გაქვს. თუ მაინც ვერ დაოკდი და მესამედაც „გაბლატავდი", 2 წელი იყურყუტებ და ეგრე, ყოველი მომდევნო „გაბლატავება" 2 წელი გაყურყუტებს. კიდევ ემატება 1 და 2-წლიანი რაღაცები, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ ამეების წერის დროს მე ამებნა თავ-გზა და, ვინ უნდა ითვალოს, ვინ რამდენჯერ შეაგინა სამართალდამცავს, ან 5-ჯერ ზედიზედ რომ შეაგინოს, მაშინ რა ხდება? არადა, თუ მაინც გინებაზე გიჭერენ, ბარემ კი დააცლი გინების „მჭიდს"...

დავიჯერო, სამართალდამცავები საიდუმლო წარმოების ისეთი კალკულატორებით ივლიან, რომ დაუმორჩილებელი მომიტინგის სახე და დანაშაული მსწრაფლ აისახება ბაზაში, დაჯამდება და მყისიერად დაიწიკვინებს: ოე, ჯამბულიჩ, ეს ტიპი მესამედ აგინებს პოლიციასო?

ძალიან გამამხიარულა ახალმა რეგულაციებმა, მაგრამ მალევე მომაკითხა უჟმურმა და საპროტესტოდ განვეწყვე: კაცო, იმ ბუსუსებიანი პრეზერვატივისა არ იყოს, რეებს იგონებენ?

ერთი დიდი საპროტესტო არზის დაწერა გადავწყვიტე, მაგრამ მერე, იმ კახელის ანეკდოტისა არ იყოს, გადავიფიქრე, ერთი თქვენი ჭკუაც ვატირე-მეთქი და უჟმურიც მომეშვა. მომეშვებოდა, აბა, რა იქნებოდა, — ისეთი ანეკდოტი გამახსენდა, ზედ ათიანზე დააჯდა ამ ახალ რეგულაციებსა და დასაკავებელ პირებს.

ეს ანეკდოტიც ძველია. მოკლედ, ტყეში ერთი ფეხმსუბუქი კურდღელი ცხოვრობს და მგელი გადაეკიდა, ყოველდღე და ხან დღეში რამდენჯერმეც აკითხავს, გააცალა სიქა. მისავათებული კურდღელი ლომთან მივიდა საჩივლელად, აღარ შემიძლია, უთხარი რამეო. დაიბარა ლომმა მგელი, დატუქსა და გააფრთხილა, მხოლოდ კვირაში ერთხელ გეძლევა კურდღელთან მისვლის უფლებაო. გაიხარა კუდღელმა, ამოვისუნთქეო, მაგრამ მეორე დღესვე მიადგა მგელი. შეიცხადა კურდღელმა, მე აგერ დავთარი გავხსენი და სულ ჩავიწერ ყველა მოსვლასო. მგელმა დაუყვავა, განა წესს ვარღვევ, უბრალოდ, იმ კვირისა დღეს გადმომიტანეო. კურდღელმა იფიქრა, რა მიშავდება, მერე ორი კვირა ვიქნები თავისუფალიო და დათანხმდა. მეორე დღეს ისევ მიადგა მგელი, იმის იქითა კვირისაც მიაწერეო. მოკლედ, ასე იარა მგელმა სურვილისამებრ და კვირის თავზე, მგელი რომ წავიდა და კურდღელმა კალამი მოიმარჯვა თარიღის ჩასაწერად, ძალადაკარგულმა ზეცას ახედა: ეს იდიოტი მგელი ისევ ისე მასავათებს და ეს ბუღალტერია რაღას შევიტენე, ცალკე კიდე ამ ანგარიშის წერამ მიხმარაო...

ისე გავმხიარულდი, „იუნესკო"-ს მიერ ორგანიზებული საკვების დეფიციტის შესახებ მსოფლიო მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებითაც კი დავინტერესდი. საკუთარი აზრი დააფიქსირეთ და არა ის, რაც ინფორმაციის სახით საიდანმე იცითო.

რა ძალა მედგა! ისედაც ჭკუანაკლულივით მარტოკა ვიცინოდი და უარესი სიცილი ამიტყდა.

ფიასკო განიცადა გამოკითხვამ, რადგან ევროპაში ვერ გაიგეს, რას ნიშნავდა „დეფიციტიო"; აფრიკაში ვერ გაიგეს, რას ნიშნავს „საკვებიო"; ამერიკაში ვერ გაიგეს, რას ნიშნავს „სხვა ქვეყნებიო"; ჩინეთსა და ისლამურ ქვეყნებში ვერ გაიგეს, რას ნიშნავდა „პირადი აზრიო"; რუსეთში საერთოდ ვერ გაიგეს ვერაფერი და ყოველი შემთხვევისთვის ყველას ბირთვული სარაკეტო დარტყმით დაემუქრნენო, — ვაჰ, რამდენი ვიცინე...

ჰო, ვიცინე, მაგრამ ისევ შემომიტია უჟმურმა და „კობრას ეფექტი" გამახსენა.



ინდოეთის კოლონიური ოკუპაციის დროს, ბრიტანელებმა გადაწყვიტეს კობრას პოპულაციის შემცირება და გარკვეულ ანაზღაურებას მოსახლეობას მოკლული კობრების თავებში აძლევდნენ. ინდოელებმა კობრას განადგურება დაიწყეს, თუმცა მალევე მოეგნენ გონებაზე და პარალელურად მათი მოშენება დაიწყეს. მათი შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. როდესაც კობრის თავებზე ანაზღაურება გაუქმდა, ინდოელებმა გველები ბუნებაში გაუშვეს, რამაც მათი პოპულაციის მნიშვნელოვნად გაზრდა გამოიწვია. ამის შემდეგ გაჩნდა გამოთქმა „კობრას ეფექტი", რაც ნიშნავს ქმედებებს, რომლებიც არსებულ პრობლემებს აუარესებს.

ხომ არ გეცნოთ საქართველოში „კობრას ეფექტი"?!

ზურა ომხერელი

# ...და მებრალვის დაღდასმული თაობა

(წერილი მეორე)

აკადემიკოს **ფრიდონ თოდუასან** და მის კლინიკასთან ჩემი ურთიერთობა არახალია. მე იმ პერიოდში უფრო რადიოლოგიის საკითხები მაინტერესებდა. მინდოდა დამეზუსტებინა მოცეკვავის ბრუნვის სიჩქარის შეფარდება მის მასასთან. ამ მაჩვენებლის დადგენას ვცდილობდი. დედამიწის მსგავსი პარამეტრი ნათელი იყო ჩემთვის, მისი სიჩქარე 30 კილომეტრ/წამია, ხოლო მასა 1 მარსი (5.9722X1024 კილოგრამი) ამათი თანაფარდობის დადგენა მეწადა. თუ აღმოჩნდებდა, რომ შემსრულებლის მაჩვენებელი აღემატებოდა დედამიწისას, ამ შემთხვევაში, საქმე გვექნებოდა ნამდვილ აღმოჩენასთან. ნათელი იქნებოდა, რომ მოცეკვავე ციბრუტებისას გადიოდა დედამიწის მიზიდულობიდან და ადამიანის სხეულს ამ ტრიალის დროს ენიჭებოდა გენური მახსოვრობის უნარი. ამ ჰიპოთეზის დასაზუსტებლად ვცადე მივდგომოდი ფიზიკის ლაბორატორიას თსუ-ში, მაგრამ ის ლაბორატორია გაუქმებული, ხოლო მისი პროფესორი **თამაზ ბუთხუზი** ქუჩაში გამოძევებული დამხვდა.

შემდგომ უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწეს, ბატონ **რომან ხარბედიას** რომ ჩავეძიე დედაუნივერსიტეტის მოსარგალების ნიუანსებია, ამგვარი გამართლება მოუძებნა ჩავლილ სიტუაციას:

— აბა, რა ექნა, საკადრო პოლიტიკის გარეშე სასწავლებელი ვერ დაემსგავსებოდა ჭეშმარიტ ცოდნის კერას. შტატები ხელოვნურად იყო გაბერილი, ერთის ადგილას 8-10 ადამიანი იყო თავმოყრილიო.

— კი, ბატონო, მესმის, სახელფასო განაკვეთის გაზრდის მიზნით დაგითხოვიათ ხალხი, ამის ნიადაგზე გაგიზრდიათ შემოსავლის წყაროები, მაგრამ აქ ფიზიკის ლაბორატორიამ რა დააშავა?! ათი თუ ემსახურებოდა, დაეტოვებინა ორი, სამი. რატომ აჩანაგებდა პირველ ეროვნულ უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო დარგებს?! რა დღეში ჩააგდო ქიმიის ფაკულტეტი?! რისთვის მოასარგალეთ უნივერსიტეტის თვალსაჩინი ორანჟერეა, სანერგეები?! რა შუაშია აქ საკადრო პოლიტიკა?! — ვერაფერი მიპასუხა.

ამ საკითხებს საღორიას ტყეში განთავსებული ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში მისვლის შემდეგ დავუბრუნდებით. მომხიბლა **ივანიშვილების ოჯახის** ძალისხმევით დაფუძნებულმა ულტრათანამედროვე უნივერსიტეტის მიზანდასახულობამ, რომ ჰუმანიტარული დარგების მხარდამხარ, თამამად დანერგილიყო საბუნისმეტყველო დარგები. მივუძღვნი კიდეც წამქეზებელი წერილი. თანაც შევპირდი, რომ უფრო ვრცელი, საჟურნალე მასალისთვის მივაკითხავდი გარკვეული პერიოდის შემდეგ, მაგრამ არ დამცალდა სტუმრობა. საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ დაიწყო სქართველოს უბადლო მეცენატის, ფაქტობრივად, **საქართველოს ლობის** ბატონ **ბიძინა ივანიშვილის** წინააღმდეგ ენით აღუწერელი კაკაფონია და რექტორი **გია ხუბუაც** ეგრევე გაცლოდა ქუთათურების საგანმანათლებლო სივრცეს.

— ეს რა ჰქენით, ბატონო გიორგი-მეთქი. — შევეხმიანე, — ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა?! არ გერჩივნათ, ყოფილიყავით თქვენთვის, მანქურთულ შტუდგარტში, წყნარად, თვინიერად-მეთქი.

მოკლედ, ჩემი ემოციური განწყობა უნივერსიტეტების საპროგრამო ხელწერისადმი, ქვეყნის მომავლითაა ნაკარნახევი, რომელსაც ნაკლებად უგდებდა ყურს აქამდე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო ცხოვრება. ჩვენი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი „მეთავისუფლეთა“ ლამის რუპორებად ჩამოაქანდაკდნენ: **„არ იქნება სამართალი?! არ იქნება მშვიდობა!“** წარმოგიდგენიათ, ამ ჯეელებს თამამად შეეძლოთ მათთვის არასასურველი პროფესორი ლექციიდან გაეგდოთ, ცხვირწინ მიეხურათ კარი.




ჩვენ (ხალხმა) ხომ ყველაზე ბოლოს უნდა შევიტყოთ, რომ ჩვენს შვილებს სამეცნიერო დისციპლინების ნაცვლად თავში ათასი ჯურის ანტიკაცობრიულ იდეებს უტენიან; რომ სამშობლო ანაქრონიზმია; რომ ერთსქესიანთა თანაცხოვრება მომავალი ცივილიზაციის კაშკაშა მზეა, რომელიც ამჯერად დასავლეთიდან ამოდის, ასტრონომიული აღმოსავლეთის ნაცვლად.

ჩემი დისშვილი სეუ-ში სწავლობდა წლების წინათ, სტატუსი შეეჩერებინათ. მოვითხოვე საქმეში გარკვევა. სტუდენტის ნებართვა მომთხოვეს. გავცეცხლდი:

— ოჯახქორებო, სწავლების ქირა როცა გინდათ, ლაქუცს იწყებთ ფინიასავით და როდესაც საკითხში ჩახედვა მჭირდება, რატომ გავიწყდებათ ეგ დრაკონული კანონები-მეთქი.

მოზარდის განსწავლის პროცესი ჯაჭვის რგოლებივით უნდა იყოს ასხმული ერთ პროცესად — ბაგა-ბაღი, დაწყებითი, დამამთავრებელი და უმაღლესი.

აქედან ყველაზე მთავარი ბაგა-ბაღი და დაწყებითი კლასებია.

**ბავშვის გონებას განსაკუთრებულად ამ ასაკში მიღებული ცოდნა გაჰყვება სიცოცხლის ბოლომდე. ეს ჩინებულად იციან ფსიქოლოგებმა. ამიტომაც უბიძგებენ „მეთავისუფლენი“ მოზარდებს ბუჩქებისკენ, რათა ვერასდროს გამოვიდნენ სექსის ტყვეობიდან. დიახაც, ამ ასაკის ბავშვებს უნდა მივაწოდოთ ჩვენ ყველაზე ფასეული, რაც შეიძლება შეკუმშულად, მათი ასაკის შესაფერისად მომზადებული მეთოდოლოგიით: „ვეფხისტყაოსანი“, „ღვთაებრივი კომედია“, „ფაუსტი“, „მთვარის სონატა“, „მოსე“, პირამიდები; მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის. საზოგადოებათმცოდნეობის ძირითადი პრინციპები.**

ინდაურის ჭუკს ნიანგი თუ გაზრდის, მას ეს ხახამშვენიერი საკუთარი დედა ეგონება. იგივე დედა ეგონება ჭუკს ბეჰემოტი დაბჩენილი პირით და ასპიტიც შხამიანი ორი კბილით. ბავშვს მამათმავლები თუ გაზრდიან, დიახაც, ისინი ეგონება უმაღლესი ფასეულობის მატარებლები. ამიტომაც ვწერდი მე წინა წერილებში მეამბოხე თაობაზე სინანულით: „...და მებრალვის დაღდასმული თაობა“-მეთქი. ეს „მებრალვის“ მეფე დიმიტრი თავდადებულისგანაა ნასესხები. მას შაჰის კარზე იბარებდნენ ამბოხის გამო. შეეძლო გახიზნულიყო, მაგრამ, ამისთანა შემთხვევაში მის ქართველობას აცვამდნენ ზეზეურად ჯვარზე, და თქვა გადაჭრით: **„მებრალვის ხალხიო“**. სამშობლოს გადასარჩენად თავი გმირულად გასწირა. ხოლო **„დაღდასმულები“** იმიტომაც არიან ეს ახალგაზრდები, რომ, როგორც კი ტატუ შეეხო მათ სხეულს, წვივებს, მკლავებს, ყელ-მშვენიერს; ნესტოებში, წარბებში, ლაშებზე მავთული გაჯირითდა, მორჩა საქმე, ეშმაკმა მიიტაცა უკლებლივ და, ბუნებრივია, ამისთანებისგან იოლია ანტიეროვნული პიროვნების გამოძერწვა.

დაწყებითი კლასებიდან უნდა მოხდეს მოზარდების „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი ფასეულობებით აღჭურვა, ვიმეორებ, **მათთვის შესაფერის ენაზე მოთარგმან**ებით. ხოლო დანარჩენი განსწავლის პროცესი არაფრით უნდა აღემატებოდეს ათწლედს, რადაგანაც ეს 12-წლიანი შტუდირება საგრძნობლად აფერხებს დემოგრაფიულ პროცესებს ჩვენში — ბიოლოგიურად მომწიფებულ თაობის დაოჯახების პერსპექტივა ფერხდება. ამასთან, ახალგაზრდა თაობის მორფო-ფიზიოლოგიური დონე უნდა შევუთანასწოროთ ცხოვრების მოთხოვნებს, ანუ უნდა მოვახდინოთ მათი თანხვედრა დროსა და სივრცეში.

სასიამოვნოა ჩვენმა პრემიერ-მინისტრმა, ბატონ **ირაკლი კობახიძემ** და მისმა გუნდმა საჯარო სკოლებში სწავლების ხანგრძლივობა ერთი წლით რომ შეამცირეს. კარგია ეს, მაგრამ არა საკმარისი. ჩვენ ათწლედში უნდა მოვასწროთ ყმაწვილების განსწავლის საქმე არა მხოლოდ ფილოლოგიური დისციპლინებით, არამედ საბუნებისმეტყველო დარგების ძირითადი პრინციპების დაუფლებით. დროა საჯარო სკოლამ ორიენტაცია კოლეჯის მოდელისკენ აიღოს, რომლის კურსდამთავრებული ცხოვრებისთვის რამდენადმე მომზადებული პიროვნებაა, იგი უმაღლესი განათლების მიუღებლადაც შეძლებს, გაუმკლავდეს ცხოვრების გამოწვევებს.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, აქაც უნდა დავიცვათ სუბორდინაცია ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებს შორის. სადღეისო გარდაქმნების განხორციელებას, ხომ ხედავთ, ლამის 13 წელიწადი დასჭირდა ისევ და ისევ უნიკალური ბიძინა ივანიშვილის და მისი ერთგული თორმეტიანელების ძალისხმევით. გარდაქმნაში ჩართული კონკრეტული პიროვნებების ხილვა სასიამოვნო იყო ჩემთვის. ურიგო არ იქნება მათი რეგალიების გასაჯაროებაც. მენიშნა შვიდივე მიმართულება. საქართველოს ცხოვრებაში პირველად ხდება საუნივერსიტეტო დიპლომატიის განფენა რეგიონებში ტოლძალოვან განათლების კერებად. ეს ყველაფერი, ცხადია, გამოიწვევს ახალგაზრდობის ავადმყოფური სწრაფვის დამუხრუჭებას უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლებისკენ. თანაც აღმზრდელების შრომა ხუთჯერ უფრო თუ დაფასდება, სწავლების დონეც ერთიორად ამაღლდება.

თავის დროზე იყო საუბარი ვაჟა-ფშაველას უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნაზე, რასაც ილია ჭავჭავაძემ მხარი არ დაუჭირა. შესაძლოა, „მთის არწივი“ ფრანტიც გამხდარიყო, ყელზე პეპელა ან ჰალსტუხი მოერგო, შლაპა დაეხურა, მაგრამ დაგვეკარგებოდა „გველისმჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

დაგვიანებით, მაგრამ დაიწყო საუბრები 1 ლარად შეძენილი სასწავლებლების მავნებლური ტენდენციების გამოაშკარავებაზე. გაშიფრულია მათი დამფინანსებლები და იმ ფულადი რესურსებით სტუდენტების ამაღლებული სულისკვეთებით აღზრდის მაგივრად, საუკუნო შეჩვენება — გახრწნა, ჯაშუშებად ჩამოყალიბება.

1990-იან წლებში 100-ზე მეტი უნივერსიტეტი ძირითადად, ფულის მომხვეჭელობის სინდრომით იყო შეპყრობილი. მართალია, ეს სასწავლებლებიც მძიმე ტვირთად აწვა საზოგადოების კისერს, მაგრამ სადღეისო ვითარება გაცილებით საგანგაშოა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ქართული მენტალობის საერთოდ იავარქმნის მცდელობასთან, ჩვენი 8000-წლიანი ბიოგრაფიის წაშლასთან.

ამიტომაც მოვითხოვდი და მოვითხოვ უმკაცრესად, პირველ რიგში, ამისთანა სასწავლებლებს უნდა შეუჩერდეთ აკრედიტაცია, ხოლო წლების განმავლობაში განუკითხავად მიტაცებულ მათი უძრავ-მოძრავი ქონება დაექვემდებაროს საქვეყნოდ აპრობირებულ ნაციონალიზაციას.

ამასთან, კატეგორიულად მოვითხოვ, ყველა სასწავლებელში, სახელმწიფოა იგი თუ „თავისუფალი“, განურჩევლად შემოღებულ იქნას სასწავლო პროცესის სრული გაკონტროლება ვიდეოთვალით.

დღეს ყველაფერს ვიდეოთვალი განაგებს: ქუჩებს — დაარღვევს მძღოლი მოძრაობის წესებს?! საღამოთი ჯარიმა მოაკითხავს და იხადე, ბედნიერო!

რატომ არ შეიძლება იგივე გამოცდილებით მივუდგეთ საგანმანათლებლო სისტემასაც?! რა, ადამიანის ტვინის, ნიჭის მოპარვა, ხელყოფა, მატერიალურ საქონელზე ნაკლებია?! ჩვენ არ მოვითხოვთ ამ პროცესის გასაჯაროებას, მაგრამ სათანადო უწყებებს თვალნათლივ ეცოდინებათ, რა პროგრამებით და რა მეთოდოლოგიით იზრდება ჩვენი ქვეყნის მომავალი; ვის გადავულოცავთ ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მამაპაპური ფასეულობებით მოდარაჯეობას, პატრიოტებს თუ შინაურ მტრებს, რომლებიც ბაცილასავით ფარულად ხრავენ ჩვენს ორგანიზმს?! თუკი რომელიმე „მეთავისუფლე“ ადამიანის უფლებების დარღვევაზე დაიწყებს ღავღავს, მე წასაკითხად შევთავაზებ მსგავს დემაგოგს **ნიკოლო მაკიაველის „მთავარს“** და იქიდან უმთავრეს სენტენციას — **„მიზანი ამართლებს საშუალებას“**.

დიახ, სხვანაირად, ლოიალობით, რევერანსებით და ორ ცხენზე ჯდომით ჩვენს ერს რამდენიმე თაობაში ეთნო-ფსიქოლოგიური იავარქნა ელის. ელის მოღალატეების ხელში, მაგრამ ჭეშმარიტ მამულიშვილებსაც რა გამოულევს ჩვენს კურთხეულ ქვეყანას.

**გური ოტობაია**
მწერალი



# ორგანიზებული დანაშაულის ანატომია

დღეს ბევრს საუბრობენ ორგანიზებულ დანაშაულზე. რას ნიშნავს და როგორ ხდება მასთან ბრძოლა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით? ამ სტატიაში შევეცდებით, მოკლედ მოგითხროთ ორგანიზებული დანაშაულის ანატომიის შესახებ, რომ მისი ამოცნობა შევძლოთ და უნებლიეთ მისი მსხვერპლი არ გავხდეთ.




ორგანიზებული დანაშაული არის მოგების ან ძალაუფლების მიღების მიზნით ორზე მეტი პირის მიერ სისტემატურად და ხანგრძლივი პერიოდით დანაშაულის მომზადება, ჩადენა, განსაკუთრებით, თუ ის ჩადენილია პროფესიული ან სამეწარმეო სტრუქტურების გამოყენებით ძალადობის ან დაშინებით გზით პოლიტიკაზე, მედიაზე, მართლმსაჯულებაზე და ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით. ნებით თუ უნებლიეთ, ხშირად ახალგაზრდები ებმებიან დანაშაულებრივ საქმიანობაში, რასაც ხელს უწყობს მძიმე სოციალური ფონიც.

საინტერესოა უცხოეთის პრაქტიკა. მაგალითად, გერმანიის ბუნდესტაგის მიერ 1992 წელს შემუშავებულ იქნა განმარტება, რომლის მიხედვითაც, ორგანიზებული დანაშაული ხდება მოგების ან ძალაუფლების მიღების მიზნით, ორზე მეტი პირის მიერ სისტემატურად და ხანგრძლივი პერიოდით დანაშაულის ჩადენა, თუ იგი ჩადენილია პროფესიული ან სამეწარმეო სტუქტურების გამოყენებით ძალადობის ან დაშინების გზით პოლიტიკაზე, მედიაზე.

ორგანიზებული დანაშაული მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის. მას ებრძვის უამრავი ქვეყანა. ეს დანაშული სულ უფრო-დაუფრო ფეხს იკიდებს. ამიტომ გავეცნოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებებსაც, როგორ ებრძვიან ისინი ამ დანაშაულს.

ყველამ ვიცით, რომ ამერიკა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, ამიტომ იქ უფრო მეტი საშიშროებაა იმისა, რომ დანაშულიც მეტი იყოს, ვიდრე სხვა ქვეყანაში. ნარკოტიკებით ვაჭრობა ორგანიზებული დანაშულის ყველაზე შემოსავლიანი ფორმაა. ყველა ქვეყანა ცდილობს, ამ დანაშაულის საწინააღმდეგოდ კანონმდებლობა მაქსიმალურად გაამკაცროს, რათა ამ დანაშულმა იკლოს. 1914 წელს **„ჰარისონის აქტის“** მიხედვით, უკანონოდ ითვლებოდა ოპიუმის და მისგან წარმოებული ნივთიერებების გაყიდვა. არ შეეძლოთ პირებს შტატიდან შტატში გადაეტანათ აქედან დამზადებული წამლებიც. ამ ყველაფერს სჭირდებოდა ნებართვა. ცხადია, კანონმდებლობის სიმკაცრიდან გამომდინარე, დაუშვებელი იყო რომელიმე ნარკოტიკის ფლობაც კი. ამერიკის 1984 წლის №67 აქტით გათვალისწინებული იყო იმ პირების სასჯელების გამკაცრება, რომელიც ფიგურირებდა ნარკოტიკულ დანაშულში. ამის შემდგომ, 1988 წელს, ამერიკამ საკანონმდებლოში ცვლილებები შეიტანა და ამ წლიდან უკვე სამხედრო უწყებებმა თითქმის ჩაიბარეს ამ დანაშულთან ბრძოლა. მას ეწოდა **კოკაინთან დიდი ბრძოლა.** მიიღეს აქტები, რომლებიც ნარკოტიკულ დანაშულზე კონტროლს აძლიერებდა. ამ ცვლილების შემდგომ გაიზარდა სასჯელები. მოქალაქეს, რომელიც აღმოჩნდებოდა ნარკოტიკული თრობის ქვეშ, 5000-დან 10000-მდე ამერიკული დოლარის გადახდა უწევდა.

ორგანიზებულ დანაშაულს გააჩნია სხვადასხვა გამოვლინება, როგორიცაა ადამიანის ან ქონების გატაცება მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ნარკოტიკებით, ცეცხლსასროლი იარაღით, ფეთქებადი ნივთიერებებითა და ანტიკვარული ნივთებით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა, თაღლითობა. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები, ასევე ჩართული არიან კორუფციასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში, სახელმწიფო სტრუქტურების გამოყენებით.

საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულს ებრძვის **ინტერპოლი.**

ინტერპოლის მეშვეობით სახელმწიფოები ერთმანეთს უკავშირდებიან და ინფორმაციას აწვდიან ამა თუ იმ დანაშაულზე. ინტერპოლი ეყრდნობა საერთაშორისო წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციასაც. ასევე ეროვნულ დონეზე ამუშავებს ინფორმაციას და შემდგომში იმ სახელმწიფოს უგზავნის, რომელმაც მოთხოვნით მიმართა.

ორგანიზებულ დანაშულთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება მხოლოდ ინტერპოლით არ შემოიფარგლება. აუცილებლად უნდა შევეხოთ **ევროპოლსაც**. ეს არის ევროპული პოლიციის სამსახური, ევროპის კავშირის სამართალდამცავი ორგანო. ამ ორგანიზაციის მიზანია ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ანუ სამართალდამცავი ორგანოებისთვის დახმარების გაწევა. მასში ინტერპოლის საქმიანობა. ის არ ასრულებს არც დევნას არც რაიმე ოპერატიულ ფუნქციას, მან მხოლოდ ადმინისტრაციული კავშირები უნდა დაამყაროს სხვადასხვა ქვეყნის პოლიციელებთან.

ინტერპოლის ბაზის მეშვეობით, სამართალდამცავებს უფლება აქვთ, თვალი ადევნონ მსოფლიო მასშტაბით კრიმინალურ მთლიან სურათს, სადაც თავმოყრილია ძებნილ პირთა სურათები, ანაბეჭდები, დნმ და სხვა ფასეულობები. ინტერპოლი ებრძვის უამრავ დანაშულს, მათ შორის, ორგანიზებულს, ტერორიზმს და ა. შ. ინტერპოლი საერთაშორისო ძებნას ახორციელებს **წითელი ცირკულარით.** ინტერპოლის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ ძალიან დაასუსტა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები.

გაწერილია თუ რა ითვლება საერთაშორისო დანაშულად.

**ორგანიზებული დანაშაულის გამოვლინების ფორმები და შიდა კანონმდებლობა**

მეტად გავრცელებულია ისეთი ორგანიზებული დანაშაულები, როგორიცაა: ნარკოტიკებით ვაჭრობა, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით სახელმწიფო საზღვარზე საქონლის გადატანა, ყალბი ფულის დამზადება, პროსტიტუციაზე კონტროლი, თაღლითობა, ადამიანებით ვაჭრობა/ტრეფიკინგი, იარაღის უკანონო გაყიდვა, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრების გათეთრება, ადამიანების ორგანოებით უკანონო ვაჭრობა და სხვა.

საქართველოს კანონმდებლობით, **სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე** მუხლის თანახმად, შეიძლება განსაზღვრული იყოს ამ დანაშულის ნიშნები. კერძოდ, **1.** ჯგუფი უნდა არსებობდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში; **2.** ჯგუფის მოქმედება უნდა იყოს ურთიერთ შეთანხმებული; **3.** ჯგუფს უნდა გააჩნდეს სტრუქტურული ფორმა; **4.** ჯგუფის წევრები წინასწარ უნდა შეკავშირდნენ; **5.** მიზანი უნდა იყოს პირდაპირი, ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონო მიღება.

ასე რომ, იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩენთ, რომ მსგავს ქმედებებში ხართ ჩართული და კრიტიკულად შეხედავთ ზემოთ ჩამოთვლილ სიმპტომებს და გაარკვევთ, რა არის ამა თუ იმ ჯგუფის მიზანი, აღარ გახდებით ორგანიზებული დანაშაულის უნებლიე მონაწილე, რასაც ძალიან მკაცრი სასჯელი მოჰყვება.

**მოამზადა**
**ლევან ჭილლაძემ**



# ატაკამას გიგანტი











წლების წინათ „საერთო გაზეთი“ „ნაცკას ხაზებსა“ და სხვა გეოგლიფებზე წერდა, რა საკითხიც პირადად მიზიდავს, ახლახანს კი ატაკამას უდაბნოს ფოტო ვნახე — ზამთრის წვიმების შემდეგ უდაბნო დროებით გაყვავილებულა, 200-მდე სახეობის მცენარე ერთბაშად გაცოცხლებულა. ეს უიშვიათესი შემთხვევაა. ატაკამას უდაბნო იმდენად მშრალია, რომ „ნასა“ მას სხვა პლანეტების სიმულირებისთვის იყენებს — 1570 წლიდან 1971 წლამდე ატაკამას უდაბნოში წვიმის წვეთი არ ჩამოვარდნილა და არც ახლა აქვს წვიმების ფუფუნება.

ფოტოს ნახვამ ჩემი ცნობილი გატაცების საღერღელი ამიშალა და ატაკამას გიგანტზე ორიოდე სიტყვის თქმის სურვილი გამიჩნდა. ნათქვამს რა ფოტოებსაც ვურთავ, ვფიქრობ, მართლაც საინტერესოდ საფიქრალია.

ატაკამას გიგანტი დიდი ანტროპომორფული გეოგლიფია, რომელიც ჩილეში, ატაკამას უდაბნოში მდებარეობს. ის ყველაზე დიდია იმ მიწის ზედაპირზე შესრულებული ხუთი ათასამდე ნახატთაგან (გეოგლიფი), რომელიც ატაკამაში ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში იყო აღმოჩენილი.

„გიგანტი” ამ საოცარ ფიგურას სამართლიანად შეარქვეს, ვინაიდან ეს ყველაზე დიდი პრეისტორიული გამოსახულებაა ადამიანის მსგავსი არსებისა დედამიწის ზედაპირზე. მისი სიგრძე 119 მეტრს აღწევს. იგი პერუში მდებარე ბევრად უფრო ცნობილი, გეოგლიფული ნაცკას უდაბნოდან სამხრეთით, დაახლოებით რვაასი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს.

ზედაპირული, სენსაციური სპეკულაციების მოყვარულები ატაკამას გიგანტში იმ უცხოპლანეტელის გამოსახულებას ხედავენ, რომელიც ამ რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს თითქოსდა ათასზე მეტი წლის წინ ეწვია. სერიოზული მეცნიერული კვლევები კი აჩვენებს, რომ ეს გიგანტური გამოსახულება და ატაკამას სხვა გეოგლიფები თანდათან იქმნებოდა დაახლოებით 900 წლის განმავლობაში, ჩვენი წელთაღრიცხვით მეშვიდე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნის ჩათვლით.

ამ და ატაკამას უდაბნოს სხვა გეოგლიფების უფრო ზუსტი დათარიღება რთულია, ვინაიდან, მეცნიერთა აზრით, ისინი მრავალ ცვლილებას განიცდიდნენ, მათ შექმნაში თავისი წვლილი შეიტანა ამ რეგიონში არსებულმა რამდენიმე კულტურამ, მათ შორის ყველაზე განვითარებულმა ტივანაკუს და ინკას ცივილიზაციებმა.

რა მიზნით შეიქმნა ატაკამას გიგანტი მეცნიერებამ ჯერ კიდევ არ იცის და, ალბათ, ამ საიდუმლოს კიდევ დიდხანს ვერ ამოვხსნით, მაგრამ არსებობს საკმაოდ საგულისხმო და საინტერესო თეორიები.

შესაძლოა, ეს გეოგლიფები ვიზუალურ-გრაფიკული ნაწილია ამ ცივილიზაციების საკულტო-რელიგიური წარმოდგენებისა. გარდა ამისა, მათი მდებარეობა უდაბნოზე გამავალი სავაჭრო გზის გასწვრივ, მაგალითად, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, ისინი უკავშირდებოდნენ კოდირებულ ცოდნას და მინიშნებას უსაფრთხო მარშუტებზე, წყლის და საკვების მდებაროების ადგილებზე.

საუკუნეების განმავლობაში არსებულ ამ ტიპის სხვა საქარავანო გზებს დედამიწის სხვა რეგიონებში (მაგალითად, აბრეშუმის გზა), როგორც კომერციული ასევე რელიგიურ-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდათ. ასე რომ, შესაძლოა, ატაკამას გეოგლიფები რეგიონის მოსაზღვრე ტერიტორიებზე დასახლებულ ცივილიზაციათა მატერიალური და სულიერი ცხოვრების, მათი ურთიერთობის თავისებურ გრაფიკულ ანაბეჭდს წარმოადგენენ.

არ არის გამორიცხული, აგრეთვე, რომ ამ გეოგლიფებში ხსენებული კულტურების ასტრონომიული ცოდნის კოდირებული ფორმა იყოს ასახული. კერძოდ, რა როლს თამაშობდა ზეცაში დაკვირვებულ მოვლენებზე ეს ცოდნა ამ ადამიანების წეს-ჩვეულებებში, რელიგიურ და მისტიკურ წარმოდგენებში. ამდენად, ბუნებრივია, ატაკამას გეოგლიფებით არქეოასტრონომებიც დაინტერესდნენ.

ერთი სიტყვით, ატაკამას გეოგლიფები და მათ შორის ყველაზე დიდი და ემბლემატური „ატაკამას გიგანტი“ არანაკლებ მომაჯადოებელი და მიმზიდველი საიდუმლოა, ვიდრე ნაცკას უდაბნოს ნახატების და ნახაზების გეოგლიფური სამყარო. ამ საიდუმლოს გასაღები ჯერ ნაპოვნი არ არის, ძიება გრძელდება.

... მაგრამ მე რომ უცნაურ ფოტოს გადავაწყდი?

ვინმემ მაღალპროფესიულ დონეზე შექმნა ეს ფოტო თუ ნამდვილად არის გამოსახული ატაკამას გიგანტის გამოსახულება პაპის შესამოსელზე? რადგან პირადად არ მინახავს, არ ვიცი, მაგრამ ვატიკანში წმინდა პეტრეს მოედანის ცენტრში ხომ ნამდვილად დგას 40 მეტრი სიმაღლის ეგვიპტური ობელისკი, რომელიც ამ მოედანზე პაპ სიქსტუს V-ის ბრძანებით დაახლოებით 1586 წელს დაიდგა?

... და ობელისკის თავზე არის უცნაური გამოსახულება: ფარაონი მუხლმოყრილია ტახტზე მჯდომარე არსების წინაშე, რომელსაც თავზე დიდი, მრგვალი სკაფანდრის მსგავსია გამოსახული და ის ძალიან ჰგავს უცხოპლანეტელს. რაში დასჭირდა ასეთი ობელისკის დადგმა ვატიკანს და პაპს?

მოარული ხმებით, ვატიკანის არქივებში უამრავი ისეთი საიდუმლო მასალა არის დაცული, რაც ამქვეყნიურ საიდუმლოებებთან ერთად, უცხო ცივილიზაციების შესახებ არსებულ საიდუმლოებებსაც მრავლად მოიცავს. სხვათა შორის, მადლცხებულად ცნობილი კიევ-პეჩორის ლავრის არქივები კი არ გაანადგურეს „დემოკრატმა ზელენსკელებმა“, ვატიკანს გადაეცა... რა „მადლზეა“ საუბარი, ეს კიდევ ცალკე თემაა..

რატომ მალავენ, ამაზე ერთადერთი პასუხი მაქვს — რათა ადამიანებს დიდხანს ჰქონდეთ გონება მიძინებულ მდგომარეობაში, იცხოვრონ შეთხზულ ზღაპარში ადამ და ევაზე და არ გაიხსენონ, სინამდვილეში რანი არიან, საიდან გაჩდნენ და რატომ გაჩნდნენ...



**მაკა ჯაყელი**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
რედაქტორის მოადგილე: ბელა ზედელაშვილი 555 48-48-61
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ლევან ჭილლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99